

140
1969



Allegretto

სამ. შობ. ლოს ნოხ - ჩი

ლე. ნი. ნე - ლე -

სამ. შობ. ლოს ნოხ - ჩი

ში,

თვალ - მზი - ა - ნე - ში,

ლე. ნი. ნე - ლე - ში,

თვალ - მზი - ა - ნე - ში, პედ. ნი - ე - ჩე - ში.

ჩვე - ნი ლა - მა. ში

მოუ. შის, ვე. ლე. შის

მო. გვაქვს სიძ. ლე. ჩა

ნა. იხ. ფე. ჩე. ში,

ჩვე - ნი ლა. მა. ში

მოუ. შის, ვე. ლე. შის

მო. გვაქვს სიძ. ლე. ჩა

ნა. იხ. ფე. ჩე. ში,

ნა - იხ - ფე - ჩე - ში.

მეზობელი
ხმები
ქაღალდი

მუსიკა მერი ღვთისმშობლისა

აყვავებულა
ჩვენი ბავშვობა,
ვით საქართველოს
ბაღია-ბაღები.
და აღისფერად
ნაფერადები
დაგვმრიალებენ
ბაირალები.

ბავშვი შალვა შუბლაძისა

დიდო სამშობლოვ,
არ დაბინდება
შენი ლაყვარდი
შუქდაულევი.
შენს სადიდებლად,
შენს სადიდებლად
ფეთქავს მარადის
ჩვენი გულები.

ქვეყნის სიჭაჭავე

ნ. ნიკოლოძე,
ლ. რუნიჩენკო

(მოთხრობა, ნაწყვეტი)

მხატვარი
ოთარ ჩხარტიშვილი

...და აი, ვლადიმერი შინ არის. ლამის თერთმეტი საათი სრულდება. ოთახში თბილა, სიჩუმეა; სასტუმროდან როიალის ჩუმი ხმა ისმის. მაგიდაზე გაციებული სამოვარი დგას, ვახშამს ხელსახოცი აქვს გადაფარებული. ვლადიმერმა ლამპა აიღო, გვერდზე ოთახში გავიდა, სავარძელში ჩაჯდა და მუხლში გაიმართა.

მზერა კედელზე დაკიდებულ ორ ლითოგრაფიულ პორტრეტზე შეაჩერა: დობროლუბოვი და ოდნავ ზემოთ, — ჩერნიშევსკი. ვლადიმერს საყვარელი მწერლის სიტყვები გაახსენდა: „ისტორიის გზა ნების პროსპექტის ტროტუარი როდია. იგი თავიდან ბოლომდე მტერიან და ტალახიან ველებზე მიემართება; ხან ჭაობებში, ხან უსიერ ტყეში. ვისაც გამტვრიანებისა ან ჩექმების გატალახიანებისა ეშინია, იმან არ უნდა მოჰკიდოს ხელი საზოგადოებრივ საქმიანობას“.

მართალი სიტყვებია! თუ გეშინია საზოგადოებრივ საქმიანობას არ უნდა მოჰკიდო ხელი!

ვლადიმერი ვერა და ვერ დაცხრა, ისევ დღევანდელი დღის ფიქრში

იყო. ცდილობდა გარკვეულიყო მოვლენებში. იმ ადამიანებს იხსენებდა, რომელთაც შეხვდა, ელაპარაკა, ეკამათა, მაგრამ უთავბოლო მოგონებათა უმნიშვნელო აზრები ხელს უშლიდა. თვალწინ ედგა მაკაროვის გათეთრებული, ნისკარტა ცხვირი, წვრილ უღვაშს ქვემოთ აკანკალებული ტუჩები, ყურში ედგა პოტაპოვის დუღლუნი: „თქვენ ყველანი უნდა გაგყაროთ აქედან!“ რა არამზადაა! გონებრივად და ზნეობრივად უბადრუკი! ნუთუ არ მოაცილებენ? მოაცილებენ და მერე რა? წმინდა ადგილი ცარიელი არ დარჩება! თუმცა ახლა უკვე სულ ერთია, ვლადიმერმა ჩააბარა თავისი სტუდენტობის ბილეთი, ამოშლილია ყაზანის უნივერსიტეტის მსმენელთა სიიდან. მაგრამ ეს მას სულაც არ ადარდებდა, არც ნანობდა, არც ნაღვლობდა, გულს არ იტებდა. ვლადიმერს ნათელი მიზანი ესახებოდა, წინ — თვალუწვდენელი სამოქმედო ასპარეზი. ის უტოპიური თეორიები კი, მოულოდნელი გადატრიალებები და ჟანდარმული მონარქიის სასწაულებრივი გარდაქმნა თავისუფალ რესპუბლიკად, — რაზედაც ოცნებობდა მისი ზოგიერთი

მეგობარი, — მანილოვის ნაბოდვარი იყო. ხალხი მხოლოდ მაშინ გათავისუფლდება სამუდამოდ ექსპლოატაციისაგან და მაშინ ააშენებს ახალ ცხოვრებას, თუ მეცნიერული სოციალიზმის თეორიით იხელმძღვანელებს. მარქსის მოძღვრების უდიდესი მნიშვნელობის შეგნებასთან ერთად, მისი სრულყოფილად შეცნობისა და ცხოვრებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, დაუოკებელი სურვილი ებადებოდა.

დიახ, მას დააპატიმრებენ, უეჭველად. ვის ვის და, მას კი კარგი არაფერი ელის, მაგრამ განა ეს რამეს შესცვლის? რამეს შეაჩერებს? რწმენას შეუცვლის?

ვლადიმერი დამწვიდდა. გონება გაუნათდა, აზროვნება დაეწმინდა, ბრძოლის აუცილებლობის შეგნება ამ ბრძოლის სურვილს ერწყმოდა. ეს კი ერთიორად მატებდა ძალას. ვლადიმერი სწრაფად წამოდგა და ბოლთისცემა დაიწყო, თან ხალისიანად უსტვენდა.

— საქმეში გავერთე და შენი მოსვლა ვერ გავიგე. — მობოდიშებით უთხრა ძმას ოთახში შემოსულმა ოლგამ. სიცივისაგან აკანკალებული შალში იფუთუნებოდა. — ვალოდია, ნეტავ როგორ წავა საქმე? — ოლგა ძმასთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო. — მთელი დღე ამაზე ვფიქრობ. ბევრი რამ გაუგებარია ჩემთვის. მართალია, შენ და შენმა მეგობრებმა დასთმეთ სტუდენტობის ბილეთები, მაგრამ ამით რა შეიცვლება? ინსპექცია მაინც უთვალთვალებს სტუდენტობას, მაინც გარიცხავს უდანაშაულოებს და ყველაფერი ისე დარჩება, როგორც დღემ-

საქართველოს ალკა ხანგალაური კომიზიკის და პ. ი. ლენინის
სახელობის ნორკ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური
საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟიურალი



КОМУНИСТ
12. 4. 1969
გამოცემის 43-ე წელი

საქ. კვ. სპ. ინ. გამომცემლობა



— ეს ყველაფერი გასაგებია... მაგრამ დედაზეც ხომ უნდა იფიქრო.

— ვიფიქრე, ბევრი ვიფიქრე, — წამოხტა ვლადიმერი და ოთახში სწრაფი სიარული დაიწყო. როცა აღელვება ჩაიკლა, ისევ სავარძელში ჩაეშვა და დაფიქრებულმა, თითქოს საკუთარ თავს მიმართავს, თქვა: — მე უკვე რამდენჯერმე ველაპარაკე დედას ამის თაობაზე. არ შეიძლება საკუთარი სინდისის წინააღმდეგ მოქმედებდეს ადამიანი და ცხოვრებას განზე გაუდგეს. ნუთუ შენ გგონია, მე ისეთი სულელი ვარ, რომ სწავლა-განათლების მიღება არ მინდა? მაგრამ, გაიგე, არ შეიძლება გულზელდაკრეფილი იჯდომი. არ შეიძლება, რომ მხოლოდ რჩეულებმა ისწავლონ! ოღონო, ეს ძალზე ჩამაფიქრებელი საკითხია. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. შესაძლოა, მაინცდამაინც არცთუ ისე გონივრულად, მაგრამ მაინც გადადგმულია, რამაც საბოლოოდ გაარკვია ჩემი ადგილი ცხოვრებაში. ახლა კი, მოდი, საქმეზე ვილაპარაკოთ! დერენკოვთან უნდა წახვიდე, ოლენკა, დუქანში, იცი სად არის ეს დუქანი? ძველ მექოთნეთა ქუჩაზე, ვერეტნიკოვების მახლობლად.

— რასაკვირველია, ვიცი!
— ჰოდა, ამ დუქანის პატრონს, ანდრეი სტეფანეს ძეს, მიდი და უთხარი, რომ გრინფელდმა ჩემს მაგივრად ალაფუზოვის მანუფაქტურის მუშებთან სხვა ვინმე გაგზავნოს და, თუ უკვე დაამრავლეს ბროშურა „მეფე-შიშხილი“, აუცილებლად თან წაიღონ რამდენიმე ცალი. ოლენკა, ოღონდ შენ არ გაბედო წასვლა.

— ვლადიმერს სიტყვა კარზე ხმამალაღმა კაკუნმა გააწყვეტინა. ოღონო სწრაფად წამოხტა.

— ვალოდიუშკა, ალბათ შენს წასაცვანად მოვიდნენ! იქნებ უკანა გასასვლელით წახვიდე ვერეტნიკოვებთან, შე კი ამათ შევაჩერებ!

ოლგამ მღელვარებისაგან ეს სიტყვები ენის ბორძიკით წარმოთქვა. ვლადიმერმა ნაზად ჩამოიცილა და.

— დამშვიდდი, რამ გაგასულელა, მე გასაქცევი არაფერი მჭირს.

ისევ დააკაუნეს. აკაკუნებდნენ მოუთმენლად, დაყინებით. ვლადიმერი წინკარში გავიდა.

— ვინ არის?
— გააღეთ, დეპეშა!

ვლადიმერს ჩაეცინა: „რა უბილო შენიღბვააო“, — გაიფიქრა და კარი გააღო.

ოთახში ორი კაცი შემოვარდა. ერთი უბნის პრისტავი იყო, მეორე მისი თანმხლები გოროდოვოი. ორივეს ბატკნის ტყავის ბოხობები ეხურათ და ყვითელკანტიანი შავი ფარაჩები ეცვათ. მათ უკან გაუბედავად შემოჰყვა დამსწრეებად მოწვეული ორი მეეზოვე.

— ულიანოვი, ვლადიმერ ილიას ძე, აქ ცხოვრობს?

პრისტავმა ფარაჩის ყოშიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— მე ვარ, — უპასუხა ვლადიმერმა და ქურთუკი შეიკრა.

პოლიციელმა უნდობლად შეხედა.

— თქვენ ხართ ულიანოვი? სტუდენტი?

— ხომ ვითხარით, მე ვარ.

პრისტავმა თვალი მოჭუტა და ისე შეათვალიერა ვლადიმერი. სულ ბავშვად მოეჩვენა. ეს ერთი „აჩრევი“ ბიჭი იქნება და მეტი არაფერიო.

— გაიფიქრა. ჩაახველა და იკითხა: — ოჯახში უფროსი არავინ არ არის? ან მამა, ან დედა?

— მამა გარდაიცვალა. დედა სოფელშია. მე ვარ აქ უფროსი.

პრისტავს ყინვისაგან ვაწითლებული, აკოტუნელუვაშიანი სახე მოუღბა და გაუბედავად მიაწოდა დაკეცილი ქაღალდი.

— დაპატიმრების განკარგულება! იქნებ შეცდომაა, რაიმე გაუგებრობა. სტუდენტთა ამბოხებაში იღებდით მონაწილეობას?

— ვიღებდი, ეს შეცდომა არ არის.

პრისტავმა მხრები აიჩეჩა და გოროდოვოის თავი დაუქნია. გოროდოვოიმ მაშინვე საქაღალდე და მეღნის პატარა ბოთლი მიაწოდა, რომელსაც ბაწარზე გამოზმული კალმისტარი ეკიდა.

უბნის პრისტავი მაგდას მიოჯდა, საქაღალდე გახსნა და ოლგას ჰკითხა:

— შენ ამის და ხარ?

— როცა სახლში შედიან, ფეხებს იწმენდენ და ქუდს იხდიან! — უპასუხა ოლგამ და სველ ნაფეხურებს

დე იყო. აბა, ღირდა ტყუილად თქვენი ასეთი თავგანწირვა?

ოლგა ძმას გაოცებული და აღელვებული შეჰყურებდა.

— იცი რას გეტყვი, ჩემო დაო, საქმე ინსპექცია კი არ არის, — უპასუხა დაფიქრებულმა ვლადიმერმა ნიკაპის სრუსით. — რაკი ჯერჯერობით სხვა გზა არა ჩანს, პროტესტისათვის ყოველგვარი საშუალება უნდა გამოვიყენოთ. მოსკოველ სტუდენტთა კრებამ გამოსვლისაკენ გვიბიძგა, ჩვენს მოქმედებას კი, დარწმუნებული ვარ, მხარს დაუჭერენ სხვა ქალაქების სტუდენტები. ხალხი დანახავს, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს არ სურს შეურიგდეს ძალადობას, ბოლოს და ბოლოს იმასაც გაიგებს, რომ გამოსვლები ჩვენი უფლებების დასაცავად, მათი კეთილდღეობისთვის ბრძოლაც არის.

გადახედა. მეეზოვე თათარმა, კარგბთან რომ იდგა, მაშინვე ქული მოიგლიჯა თავიდან და ახამხამებული თვლებით ფეხებზე დაიხედა, მეორე, გაჭვივებული, გაქვავებულივით იდგა და გამოლენჩებული მიმტერებოდა პრისტავს.

პრისტავმა მუშტში ჩაახველა და საქაღალდედან ოქმის სუფთა ბლანკი ამოიღო. დაიძვრა სახელოები, მელნის ბოთლს სათუთად მოხსნა საცობი და საწერად მოემზადა. ქული ვითომ შემთხვევით მოიხადა და ხელისგულით შუბლი მოიწმინდა.

— თქვენი პასპორტი, — მიმართა ვლადიმერს და იქვე გამოასწორა, — დაბადების მოწმობა.

ვლადიმერმა მოუტანა. პრისტავმა ქაღალდს თვალი გადაავლო და ჩვეული ხმით ჰკითხა:

— აკრძალული ლიტერატურა გაქვთ?

— თავად ნახეთ! — მოკლედ მოუჭრა ვლადიმერმა.

პრისტავმა მკაცრად შეხედა და წამოღდა.

— სად არის თქვენი ნივთები?

გოროდროვომ ხელი მხედრულად შემართა: — ჩხრეკა დავიწყო, თქვენო კეთილშობილებავ?

— არ არის საჭირო, მე თვითონ ვნახავ...

პრისტავი გაჰყვა ვლადიმერს მეორე ოთახში, რომლის კარებსაც სწრაფად მოსცილდა ფეხშიშველი მიტია. ბავშვი შეშინებული შეჰყურებდა უცხო ხალხს.

პოლიციელმა წიგნის კარადიდან ალაღბებულ ერთი-ორი წიგნი გადმოიღო, გადაათვალიერა და ისევ თავის ადგილზე დადო, მერე მაგიდაზე ერთმანეთზე კოხტად დაწყობილ რვეულებს დახედა მთქნარებით, ერთი მათგანი ზანტად აიღო და წარწერა ხმამაღლა წაიკითხა: „რომის სამართალი“, აიღო მეორე: „საპოლიციო სამართალი“. პრისტავმა წარბები ასწია და იხუმრა: — ყმაწვილო, ხელსაყრელი შემთხვევა მოგეცათ, ამ საგამს პრაქტიკულად ჩვენთან შეისწავლით. — ახლა მაგიდის უკრა გამოაღო, მთელი ოთახი მოათვალიერა, მერე მაგიდიდან ლამპა აიღო და კედელზე ჩერნიშევსკის პორტრეტს მიანათა.

— მამა?

ვლადიმერმა პასუხი არ გასცა.

— ეს ვილაა? — პოლიციელმა დობროლუბოვის პორტრეტზე მიუთითა.

— ძმა! — სწრაფად უპასუხა მიტიამ

და ეშმაკურად შეხედა ვლადიმერს. უბნის პრისტავის არაფრისმთქმელ სახეზე ცნობისმოყვარეობა გამოიხატა, ლამპა უფრო ახლოს მიიტანა პორტრეტთან და ჩააკვირდა.

— მაშე ეს არის ალექსანდრე ულიანოვი? — იკითხა და ღრმანზროვნად დასძინა: — რა მოიგო? თავისი ხელით გაითხარა საფლავი. მე და თქვენ კი, როგორც ხედავთ, ვცოცხლობთ... ვლადიმერმა მშვიდად უპასუხა:

— სიცოცხლეც არის ზოგჯერ მკვდარი და უნაყოფო, სიკვდილი კი — ნაყოფიერი, სიცოცხლის დამამკვიდრებელი.

პოლიციელმა გაკვირვებით შეხედა ჰაბუკს და პორტრეტზე ანიშნა:

— მაინც გირჩევდით, ჩამოგხსნათ თქვენივე კეთილდღეობისათვის. თუმცა... — ხელი ჩაიქნია და სასადილო ოთახში დაბრუნდა. დაჯდა, ვლადიმერის მეტრიკულ ამონაწერში ჩაიხედა და ოქმის წერა დაიწყო:

— დაბადების წელი: ათას რვაას სამოცდაათი. ჩვიდმეტი წლისა ყოფილხარ, ნაადრევად დაგიწყია.

— როგორც შევძელი, ამისათვის ნუ დამძრახავთ! — უპასუხა ვლადიმერმა.

პრისტავმა შუბლი შეიკრა და მკაცრად შეხედა:

— თქვენს მდგომარეობაში მყოფი, ყმაწვილო, სიჩუმეს ამჯობინებდა.

— ასე მასწავლეს, უფროსების შეკითხვებზე ზრდილობიანად მეპასუხა.

პოლიციელმა გაბრაზებით ჩაახველა და ოქმში ჩარგო თავი. მეეზოვე თათარმა ღიმილი უღვაშებში ჩამალა და გაკრქილი თავი დახარა.

ვლადიმერმა ოლგას შეხედა, ის კარადასთან იდგა და თვალს არ აშორებდა. რა მონდომებით აწრობინებდა პრისტავი ქაღალდზე კალმისკარას. ვლადიმერმა შეამჩნია, რომ

ოლგა ცდილობდა მშვიდი გამოხედვა ჰქონოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. გასამხნეველად ძმამ თვალი ჩაუკრა. ქალიშვილმა ნაღვლიანად გაილიმა.

— ჩხრეკის ღროს არაფერი საძრახისი არ აღმოჩნდა. — როგორც კი მოათავა ოქმის წერა, ხმამაღლა წარმოთქვა პოლიციელმა. — გთხოვთ მოაწეროთ ხელი!

ვლადიმერმა ოქმი წაიკითხა და იმ წამსვე მოაწერა ხელი, პრისტავმა მაშინვე მიმართა: ჩაიცვით!

მიტია ძმას ეცა და კისერზე ჩამოეკიდა. მერე თავისი გულჩვილობისა შერცხვა, ჩამოსცილდა და სიძულვილით ანთებული თვალებით შეხედა პოლიციელს.

— თქვენ... თქვენ... ჩვენ საშას...

— მიტია, ახლავე გაჩუმდი! — დაუყვირა ძმას გაბრაზებულმა ოლგამ. ხელი ჩაავლო და პრისტავს მიუბრუნდა:

— შეგიძლიათ ჩხრიკოთ, შეგიძლიათ აპატიმროთ და დახოცოთ კიდეც ადამიანები, მაგრამ რწმენა, ჩემო ბატონო, არა კვდება...

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა განიზრახეს, ბიჭი პოლიციაში! — დაიწყო მოთქმა ძიძამ, ვარვარა გრიგოლის ასულმა. ვერავინ შეამჩნია, როგორ შემოვიდა იგი და თავზარდაცემული აიტუზა შემოსასვლელში. მისი სახე სიძულვილს აენტო, პატარა, დაღლილი თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

— რა ვუთხრა ახლა ძვირფას მარია ალექსანდრეს ასულს, ვის გაუგონია, დედამ არაფერი იცის და ბავშვი პოლიციაში მიჰყავთ? წყუწყო მტარვლებო, თქვენთვის სამართალი არ არსებობს!

პოლიციელმა მხრები აიჩეჩა, ვლადიმერი წინ წაიმძღვარა და ჩაილაპარაკა:



— მოგვსენებთ, ეს რა ოჯახი არის!

— და აი, ვლადიმერ პოლციის მატრიონო ზის, გვერდზე უნის პრისტივი უნის. ნეტარსოვის ოქვისას არ იყოს: «დამანაგეს გადაგვოდა, რიგირიც შევბარს». პრისტივი, თან-მშობლები გიროლოვი მოვალეობელოვი, ილიაში სპადალდე ამიგარა და მუხლბეკი ვლადიმერის მუხლბეკისავე შუქურა პოლციელი თუ კოფოზე ბრძანებდა.

ვლადიმერს თვალთა აცხვრდა მინარე სახელებს, უფრო უღებდა დატყვევლ თოვლზე მარხობის კვის პრისტი, ცხენების ფლკეების თქანაქურის, რომელსაც ვეცადებოდა სტელდენტური სიმღერა შესწავლობდა.

შესამღებელია ახლა ქალაქში ათობით დაბრუნდა ასეთივე მახლობელი ვლადიმერით სანაშინი დამანაგებებით. აღბანი სურველი პრისტივიან დაგვარდა ზის შინ გააშურებს მის პოლციელი თვისის ვლადიმერს ენაშახლობითი ვლადიმერმა წარმოიგინა სურველის მოციინარ სიფათი, გავეხუტო გიროლოვი და უნესღეთი გახდით.

პრისტივმა მუყარადა გადახედა ბატმარს. მას ეფონა, ეს სტელდენტური შენახვევით «ვაცმა მახეში», ცუდი ამხანაგების გავლენის გამო, მაგრამ თურმე ეს ვნაწილი არც ისე ვლადიმერული ვიღვინა და არც ეს სკეპტი ისე უბრალო, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ასაკით არის ახალგაზრდა, თორემ თბილისი ალბათ არაფერი ეძებოდათ ან სწორედ ასეთებისაგან იზრდებიან ევლიანობევი, კარაჯიხეები, გრინევიცები და რევილოვის ათასი მათდავარი ფანტოსები... ეს წლები, წლები-წვილიერე წელი... გერ სულ მაგონია საცხობი... ნეტავ რა ადრია, რის ცემებს ვის წინააღმდეგ იბრძვის.

პრისტივმა ვლადიმერს ცოფა დატყდა და ჩილაბაჟაყა: — არ მესმის თქვენი, უბოეთო, რა გინებთო, რატომ სახელებით, თქვენს წინ ხომ ედღელია!

— ედღელია კია, მაგრამ დამპალია, ერთი ხელის წაყვრა უნდა და დაინგრევიან — მოკლდ მთქვრა ვლადიმერისა.

პრისტივს გულმა დაებნე დაუწყია და უნებლიეთ გვერდზე გაიქონია...

ვლადიმერ პოლციანი

მთავარი ვაჟა-ფშაველას

1920 წლის 9 თებერვალს, დღითი, ბაქოს მატარებელში მიხედ შემივიდა თბილისის ვაჟაშურე.

ქალაქ კავშირითი, სქელი ნისლი დასწოლდა. ციოდა.

*ვაგონიდან, რომელსაც მევიარადა ასოებით ეწერა „თავდაცვის საბჭოს დიპლომატიური შტაბიკი“, საშუალო ტანის, სათვალის ახალგაზრდა ოფიცერი დაინახა, სადგური ურადღებით მოავადღერა, მერე მახარის სახელი ურადღებამდე აიწია; ჩიხეში ხელები აწიდა ჩაიყო და სწავდი ნაიჭით სადგურის გასვლელთაკენ გაეფარა. მაგრამ სახსავლელთან შეაჩერდა, მის წინ სამკლავაქო ფორმაში გამოწყობილი იყო უცხოელი იღვა.

— თქვენი საბუთები! — მოითხოვა ერთმა.

— ვინ ბრძანდებით? — ეკითხა ოფიცერმა და სახალდად მაკარდა გადახედა დაშვებულს.

— საგანგებო რაზმის სამმართველოს თანამშრომლები — თქვა იგივე უცნობმა, რომელიც საბუთები მოითხოვა და ოფიცერს თავალი თავალი

სამმართველოს თანამშრომლებმა და ოფიცერს საბუთები მანქნედ დაუბრუნეს, — ვვაბებით, ჩვენ პოლცივითებს ვეჩებთ. ნაბრანები გავაქვთ, ვველა საბჭო პიროვნების საბუთები შევუბოვით.

საგანგებო რაზმის სამმართველოს თანამშრომლები ოფიცერი თავიანდაც გამოიხივინდნ და წვიდნენ, ის კი სადგურის წინ ვამოვიდა.

სადგურის წინ ნაირ-ნაირ ხალხს მოეყრა თავი. ერთმანეთში ირთოდნენ ადამიანები, ცხენები, სახედრები... ისმოდა უცარილი, წველა და გინება. მთარბმომარკვებული მეტადნებით ძლიეს მარადვედნენ ჩემოდნებითა და კალათებით გახიდულ გზას, მუერტარებები მუხაგრებს ხელოდან სტაცებდნენ ჩემოდნებსა და კალათებს, ეცემ ირიოდ გროში ვიწოვითო. იყო ერთი შეხება-შემოხება, მაქლუგუნის ცვრა და ვაწაწაწა, ვილაც ნესვიით ჩამრგვალებული, დაუცხვრელია კაცო თორმტობოდ წლის ბიჭს უფროსი ჩამდრენდა და ახლგის უპირებდა, ბიჭის ფეხებთან, ტალახში ამოსვრილი პატარა კალათი და ქალაქის ფერად-ფერადი უკავილები ეყრა.

— მოკვდა, შე ძალღის ლეკოა — ცოფებს ზერიდა ლეუებულა და ბიჭს მარწხვითი უფერდა თიხების ბიჭი ანკვებს წამოგებულ ბიჭურსანს ვით ფარხლდებდა, დღლილი და ხე-

რიახლო და სანახაობით ირთობდა თავს.

— პოლიციაში ვიკვებნენ სიერს, ეს რა არის, დამაქა — ცუცხლს აფრკვედა ლეუებულა.

— ვაბოვი, ვამოვი, ვი დედა! — ეყაროდა ბიჭი და ლეუებულადას მორავივით სქელ წვიებზე ფეხებს ურტყამდა, მაგრამ რას ვახედებოდა ერთი ციქვანა ბიჭი.

— რა უნდაო შენს ხელს ჩემი პალტოსი ჩიქვში, ხა? მითხარი, შე კონკლინი შენი — ლეუებულადაც ბიჭს უყრე ხელი ვაუშვა და ახალა მისი დაცოქილი პალტოსი საუკეთო ჩაბლუქა, კურდღლის ბაქიასვით მალა აიტაცა და ახე დაუბარა პოლიციაში წაყვანა, მაგრამ აღარ დასცალდა — მის წინ სათვალის ოფიცერი იღვა.

ლეუებულადაც ოფიცერი რომ დაინახა, სიხარულით ცხს ეწია.

— ბატონო ოფიცერო, წმინდა წლის ბოლშევიკი დაჭობიკო!

— ბოლშევიკო! — ოფიცერმა დამცინავი სახით ბიჭს ვადახედა, — რა ციკი, რომ ბოლშევიკია? — მამო, მამო, ეს ბიჭი ნაწვლილია ბოლშევიკია დაბა, ბატონო ოფიცერო! იქვალა და ოქალის ვერად-ფერადი უკავილები ეყრა.

— მოკვდა, შე ძალღის ლეკოა — ცოფებს ზერიდა ლეუებულა და ბიჭს მარწხვითი უფერდა თიხების ბიჭი ანკვებს წამოგებულ ბიჭურსანს ვით ფარხლდებდა, დღლილი და ხე-



ქალაქის უკანონოები

მოთხოვნა

გაუყარა, — საიდან მომბრანდებით? — ბაქოდან. ა ჩემი საბუთები — ოფიცერმა საბუთები ვაწოწოდა. — მოითხოვა რისხულობის თავდაცვის საბჭოს შტაბიკი თავად ვუბრძოვი, — ჩაიციხეს საგანგებო რაზმის

ლიდან დასხლტობოდა. მაგრამ ვაიოდ. საიყარის ის იყო, რამ უნაწვრდებოდა არავინ ექონავებოდა, ეცხვდა თავისი საზარუნეი აწუხებდა, მთვალის სახლაც მიეჩვენებოდა, აქვლად ირბოდნ უდასწურებლად დამდგარიყო შუ-

— მე მაინც ვერაფერი გამოვიდა, ვბოთი, სუ უცირიო სირცხვილია, — ვაწერა ოფიცერი. — გაუყარა ლეუებულამ უცებ ხმას დაუწია.

— მო, მოვარი არ მითვამხ, ბა-

ტონო ოფიცერო. აგერ ვდგავარ ჩემოვინ და უცებ ვერანო, პალტოსი ვიხე ვიხედა მებრანება. ხელი მოვიხსია ჩიბებდა და ქალაქი ამოხვია, დახედდა და უკლ შემიღონდა; ღერე ჩემო ჩემო, მოვარის სანწინააღმდე-

ვო პროკლამაციაა აი, ნახეთ — ვაქარმა მუქი ვაშლა და ოფიცერს და მუხუწული ქალაქი უჩვენა. — ოფიცერმა ქალაქი ჩიქვში ჩაიღო და მაკარდა თქვა: — მამო ეს ბიჭი, ხომ?

— ჰო, მოვიხედე და ვითომც არაფერი, ხელში ყვავილებს მაჩჩრებს, იყიდევო, მე კი ხელი ვტაცე და ახლა პოლიციაში მივათრევ, იქ სხვანაირ ხმაზე აამღერებენ ამ ლაწირაკს!

— ქაქანებდა ლოყებლაჟლაჟა.
— კარგი, ამ ბიჭს მე მოვუვლი! — ოფიცერმა ბიჭს მაჯაში ჩაჰკიდა ხელი, — აიღე კალათი და გამომყევი.

ბიჭმა სინანულით გადახედა ტალახში ამოსვრილ ქაღალდის ყვავილებს და კალათი აიღო.

— გაქცევა არ გაბედო, თორემ...
— დაემუქრა ოფიცერი ყვავილების გამყიდველს და მახლობლად მდგომი ცარიელი ეტლისაკენ გასწია.

ბიჭი მორჩილად მიჰყვა.
ოფიცერი ეტლში ჩაქდა, ბიჭი გვერდით მოისვა და შეეტლეს უბრძანა, გოლოვინის პროსპექტზე წადიო.

ეტლი მძიმედ დაიძრა. ცოტა რძმ გაიარეს, ოფიცერმა ბიჭს მხარზე ხელი მოჰხვია და მწრუნველად ჰკითხა:

— ყური ძალიან გტკივა?

ბიჭს კითხვაც ეუცხოვა და მხარზე გადადებული მისი ხელიც. თვლები გასდიდებოდა, უნდოდა გამოეცნო, მტერი იყო თუ მოყვარე, მერე იფიქრა — მტერმაც იცის ენის დატკობა, რომ გაგაბრიყვოს და რაიმე დაგცინცლოსო, ამიტომ პირში წყალი ჩაიგუბა და ხმა არ გასცა, მტკივან ყურზე მარჯვენა ხელი დაიფარა. ჩიტივით გაინაბა.

— მე რომ არ მოგშველებოდი, მალე პოლიციაში მერე ყურსაც აგიწევდნენ, — ეუბნებოდა ოფიცერი და იცინოდა.

ბიჭი ყურს არ უგდებდა, მისთვის სულ ერთი იყო, რას იუბედებდა ოფიცერი, ახლა ერთი დარდი ჰქონდა: ვერ გაეგო, სად უპირებდნენ წავანას. გოლოვინის პროსპექტზე ალბათ საიდუმლო ჭურღმულეზია და იქ ჩააგდებენ. სცემენ, აწამებენ, რომ თქვას — როგორ გაჩნდა მის ხელში პროკლამაცია. ვაითუ უბეში გადამაღული პროკლამაციებიც უნახონ!.. ბიჭს გააუჩოლა, თვალწინ წარმოუდგა საშინლად ბნელი, ნეს-

ტიანი მიწისქვეშეთი და მკლავებდაკაპიწებული საზარელი სახის ქალათი...

ბიჭი მხარში მსუბუქმა ხელისკვრამ გამოარკვია.

— იქნებ სახელი მაინც მითხრა, რა გქვია?

— შიო მქვია! — წაიბუტბუტა ბიჭმა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. ის ახლა მამაზე ფიქრობდა. მამა მთელ თბილისს მოივლის, ქვეყანას შეაწრიალებს, ჩემი ობოლი ბიჭი ხომ არ გინახავთო. შიო კი, ნაწამები, ჭურღმულში ეგდება და მამა ვერ იპოვნის.

ნეტავ ეს პროკლამაციებიც დაერაგებინა და, ჯანდაბას, წამებას როგორმე გაუძლებდა. ახლა უბეში უდევს და მოშორება არ შეუძლია; ოფიცერი მაღლიდან დაჰყურებს. სულ უცინის. ვაითუ იცის რა ცეცხლი იმალება შიოს უბეში და განგებ არ იმჩნევს. ეჰ, ის ლოყებლაჟლაჟა ვაჭარი რომ არა, აქამდე ერთი პროკლამაციაც არ დარჩებოდა შიოს.

მხარზე ისევ იგრძნო ხელის დაკვრა.

— რას ფიქრობ?

— არაფერს.

— მე ხომ შენ ცუდს არ გიპირებ, შენ კი სულ მიბღვერ.

— ცუდს არ გიპირებო?! თუ ცუდს არ მიპირებთ, რატომ მიგყავართ პოლიციის ჭურღმულში?

— მე არსადაც არ მიმყავხარ, საიდან მოიგონე! — გაოცდა ოფიცერი.

— მაშ არ მიგყავართ პოლიციაში?

— შენისთანა კარგ ბიჭს იქ რა უნდა! შენ ბევრჯერ უნდა დაუფრთხო ძილი მენშევიკებს!

ბიჭი შეცბუნებული უსმენდა ოფიცერს. „აი რა ეშმაკია, მენშევიკების ლანძღვასაც მოჰყვა,

უნდა როგორმე მომიხადიროს! ვერ მოგართვი!“ — გაიფიქრა, ოფიცერს სამხრეებზე დაადგა თვალი და ჩუმად ჩაიცინა.

— რა გაცინებს! — უთხრა ოფიცერმა მკაცრად.

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! — თქვა ბიჭმა და ისევ ჩაიცინა. ახლა ოფიცერმაც ვერ დამალა ღიმილი.

— კარგი ანდაზაა, ჩემს ეპოლეტებს უხდება, არა?

ბიჭს რატომდაც გაუჭრა შიში და მოკრძალებდა. თუკი ოფიცერი მენშევიკებს ლანძღავს, თუკი ღიმილს არ იშურებს და არც მომაბეზრებელ კითხვებს იძლევა, მაშ შიო რატომღა უნდა იყოს ჩუმად, ან რას მირახრახებს ამ ეტლით, სთხოვს და იქნება შინაც გაუშვას, ჰა?

— ძია, მე არ მიყვარს ეტლით სიარული, შეიძლება ფეხით ვიარო? — თქვა და პასუხის მოლოდინში გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

— რა თქმა უნდა, შეიძლება! ბიჭმა გაოცებით შეანათა თვლები, მართლაც? — ესა თქვა და კალათს ხელი დაავლო.

ეტლი გაჩერდა. ბიჭი ძირს მერცხალივით გადაეშვა და გაიქცა. ოციოდენ ნაბიჯი რომ გაიბრინა, შედგა, მოიხედა, როცა ნახა, უკან არავინ მოსდევდა, შვებით ამოისუნთქა.

ეტლი დაიძრა.

ბიჭი ისევ უყურებდა ეტლს, რომელიც ქვაფენილზე ხტუნაობით მიდიოდა. მერე რალაც გადაწყვიტა, ეტლს გამოუდგა და რამდენიმე წამში მის საფეხურზე გაჩნდა. ოფიცერმა ხელი მიაშველა, გვერდით მოისვა და ჰკითხა:

— აკი ეტლით სიარული არ მიყვარსო?!



ირაკლი აბაშიძე


გამოჩენილ ქართველ პოეტსა და სასოგადო მოღვაწეს ირაკლი აბაშიძეს 60 წელი შეუსრულდა.

ირაკლი აბაშიძემ, როგორც ღრმად ეროვნულმა პოეტმა, დიდი ხანია დამსასურებულად მოიხვეჭა მშობელი ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ორმოც წელზე მეტია, მისი მაღალი პატრიოტიზმისა და დიდი მოქალაქეობრივი ედერადობის პოეზია მსარძი უდგას ქართველ მუშას, მსვენელ-მოხვეულსა თუ მეცნიერს, ასარებს მათ სულსა და გულს.

მრავალი პოეტური ქმნილებით გაამდიდრა ირაკლი აბაშიძემ ჩვენი მწერლობის საგანძური. „კაპიტანი ბუსაძე“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, „პალესტინა, პალესტინა“ უტკნობ მშვენივრად გაჰყვებიან ქართულ პოეზიას.

ირაკლი აბაშიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართულ საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში, შექმნა რა არაერთი და ორი ძესანიშნავი საუმაწვილო ნაწარმოები. იგი წლების მანძილზე სათავეში ედგა ჟურნალ „პიონერს“ და ასლაც მისი ერთ-ერთი უსლოესი მეგობარი და გულშემატკივარია.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია ნორჩ მკითხველთა ასიათასიან არმიასთან ერთად, მსურვალედ ულოცავენ საყვარელ პოეტს 60 წლისთავს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას. დაე, კვლავაც მრავალჯერ გაეხარებინოს ჩვენი მოზარდი მკითხველის გული.



შიომ სიტყვა ბანზე აუგდო:
 — ძია, ვერის ბაზრამდე ვერ მი-
 მიყვანო? იქ მამა მელოდება.
 ოფიცერმა თავი დაუქნია.
 — ახლა კი ვიცი, ვინცა ხართ! —
 თქვა ბიჭმა.
 — ვინ?
 ბიჭმა ტუჩები ყურთან მიუტანა:
 — ბოლშევიკი!
 — როგორ მიხვდი?
 — ისე მექცეოდით, რომ მივხვ-
 დი...
 — მართალია. ახლა შენ ეგ მითხა-
 რი, პროკლამაციები კიდევ გაქვს?
 ბიჭი ამას არ მოელოდა, შეკრთა.
 — არა!
 — ეს პროკლამაციები სად იშოვ-
 ნე?
 „ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ბიჭ-
 მა, — წავსულიყავი ჩემთვის, რა
 მრჩიდა! ისევ ჩავვარდი. აი, თურმე
 როგორი ყოფილა ეს ოფიცერი! ახ-
 ლა იქნებ გამჩხრიკოს კიდევ“, —
 ბიჭმა უცებ მოიწყინა.
 — ძია, შეიძლება ჩავიდე? ფეხით

წავალ.
 — მოიცა; ხომ მთხოვე, ვერის ბა-
 რამდე მიმიყვანეო.
 — ფეხით მიჩვენია!
 — კარგი, არაფერს არ გკითხავ,
 აგერ ბაზარიც...
 ეტლი ვერის ბაზართან გაჩერდა.
 ბიჭი ჩახტა, ხალხს შეერია და ბა-
 რის შესასვლელისაკენ გასწია. კარ-
 თან ჭაღარა კაცი იდგა, ოდნავ მხრე-
 ბში მოხრილი, ქაღალდის ყვავილებს
 ჰყიდა.
 ბიჭი იმ კაცთან მივიდა.
 — მამა!
 — შენა ხარ, შვილო? როგორ შე-
 მეშინდა. რატომ დაიგვიანე?
 — ჩავვარდი, ერთმა ვაჭარმა მტა-
 ცა ხელი.
 — მერე, როგორ დააღწიე თავი?
 ბიჭმა სხაპასხუპით უამბო, როგორ
 წამოიყვანა ვიღაც ოფიცერმა და რო-
 გორ ჩამოსვა ბაზართან. ბიჭმა იმ
 მხარეს გაიხედა, ეტლი რომ გაჩერ-
 და. ეტლი ისევ იქ იდგა, წინ შეშით
 დატვირთული ურემი გახარხებოდა

და მეეტლე ამაოდ ცდილობდა გვე-
 რდის ავლას.
 — აგერ, მამა, ეტლში ზის...
 ყვავილების გამყიდველმა ვიღაცას
 ხელში ორად გაკეცილი ქაღალდი
 ჩაუღო, ეტლისაკენ გაიხედა და თვა-
 ლები სიხარულით გაუბრწყინდა.
 — აი ვის მოუყვანიხარ, ბიჭო, ეგ
 ხომ ბორისია!
 — ვინაო, მამა? — ვერ გაიგო ბიჭ-
 მა.
 — ჩვენი ბორისი, ძნელაძე ბორი-
 სი, შვილო! გადასახლებიდან გამოქ-
 ცეულა, ყოჩაღ! როგორ გაუხარდე-
 ბათ ამხანაგებს!..
 — ბორისი, — წაიჩურჩულა ბიჭმა
 და იქით გასწია, მაგრამ მამამ არ გა-
 უშვა.
 — სხვა დროს შეგახვედრებ, ახლა
 არ შეიძლება!
 შიომ იდგა მამის გვერდით და იქით
 იყურებოდა, სადაც ეტლი ეგულე-
 ბოდა. ეტლი კი უკვე აღარ ჩანდა.
 ბაზრის კარში შეშით დატვირთული
 ურემი შემოდიოდა.



კიზნის კვთვენი

ამჯერად ჩვენთან სტუმრად არის
განერალ — ლეიტენანტი
საბოთა კავშირის ზმირი,
ვლადიმერ ნანეიშვილი.

— ახლა რომ 14 წლისა ვიყო — გაიმეორა ჩვენი შეკითხვა სამოქალაქო ავიაციის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს უფროსმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, გენერალმა ვლადიმერ ნანეიშვილმა და მცირე ხნის ჩაფიქრების შემდეგ დასძინა: — ალბათ იმასვე ვისურვებდი, რაც ნამდვილად მსურდა მაშინ, როცა 14-15 წლისა ვიყავი.

სწორედ ეს იყო ჩვენი მეორე შეკითხვა:
— რაზე ოცნებობდით და როგორ განახორციელებდით ბავშვობის ოცნება?

— ბავშვობა გორში გავატარე. ერთხელ ბიჭები ლიხაზე ვბანაობდით. უცებ გორის ციხის მხრიდან გუგუნე მოგვესმა და თავზე გადაგვიქროლა თვითმფრინავმა. ჩვენ ტანსაცმელი იქვე ტირიფის ბუჩქებთან მივატოვეთ და სირბილით გამოვუღვექით თვითმფრინავს.

თვითმფრინავი კარგა ხანი იყო, თვალს მიეფარა, ჩვენ კი მაინც მივრბოდით და მივრბოდით. ბოლოს, ამდენი ყიჟინით, სირბილითა და ხელის ქნევით დაოსებულნი, ძირს დავეცვივდით და, როგორც კი ლაპარაკის უნარი დაგვიბრუნდა, თითქმის ყველანი ერთად ავლაპარაკდით:

- უპ, ბიჭო, რა იყო!
- აი, მესმის!
- ერთხელ ჩამსვა და მერე თუნდაც მომკლა!..

უნდა ითქვას, რომ თვითმფრინავზე ბევრი რამ გვხმენოდა, მაგრამ ნახვით მანამდე არ გვენახა.

იმ ღამეს მხოლოდ გათენებულზე ჩამეძინა. მესიზმრა, ვითომ ფრთები მქონდა და გორის ციხიდან ძირს ვეშვებოდი. თურმე ძილში ხელებს ვიქნევდი. შეშინებულ დედაჩემს სიზმარი ვუამბე.

— კარგი და კეთილი, შვილო! სიზმარში თუ ფრენდი, ეს იმას ნიშნავს, რომ იზრდები.

იმ დღის შემდეგ განუწყვეტლივ „ვიზრდებოდი“ თუ რა იყო, ყოველ ღამეს მესიზმრებოდა ლურჯი ცა და თვითმფრინავი, რომელსაც მე ვმართავდი. ხან ღრუბლებს ვკვეთდი, ხან გორის ციხის თავზე მივფრინავდი და ძირს შეკრებილ ჩემს ამხანაგებს თვითმფრინავის ფრთების ქნევით ვესალმებოდი.

ასე იქცა ჩემი ბავშვობისდროინდელი სიზმარი სიჭაბუკის ოცნებად და მერე კი მთელი სიცოცხლის მიზნად და აზრად.

ასე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში ავიაცია — ჩემი პირველი და მუდმივი სიყვარული.

1924 წელს თბილისში ჩამოვედი და „ავიაქიმის“ კურსებზე შევედი, სადაც საავიაციო დისციპლინებს, განსაკუთრებით ძრავებს სწავლობდნენ. ამ კურსების დამთავრება იმ დროს დაემთხვა, როცა გაჩნდა ძალზე პოპულარული ლოზუნგი: „ახალგაზრდობა — „ავიაქიმში!“ სულ მალე, 12 ქართველ ჭაბუკთან ერთად, სასწავლებლად გავემგზავრე და მფრინავთა სამხედრო-თეორიულ სკოლაში შევედი.

ზოგმა ჩემმა მეგობარმა ვერ აიტანა იქაური რეჟიმი და კლიმატი. გამოგიტყდებით, მეც მქონდა ყოყმანის წუთები. მაგრამ ასეთ დროს ვიხსენებდი მიზანს, იმას, თუ როგორ ვისწრაფოდი ამ მიზნისაკენ, მახსენდებოდა ბავშვობისდროინდელი სიზმრები და ჩემს თავს ვუკრძალავდი ყოყმანს.

ეს ნებისყოფის გამომუშავების, ხასიათის აღზრდის სკოლადაც გამომაღა.

მფრინავთა სკოლა 1928 წლის გაზაფხულზე დავემთავრე, სამხედრო მფრინავის კვალიფიკაციით.

...იდგა მშვიდობიანი შრომის წლები. ლურჯად კაშკაშებდა უღრუბლო ზეცა. საბჭოთა ხალხი სოციალიზმს ამყენებდა. იკვლევდნენ ახალ საჭაერო ტრასებს; ამყარებდნენ შორს ფრენის თავისებურ რეკორდებს. მფრინავის პროფესია რომანტიკის საბურველით იყო გარემოცული.

და აი, საფრენოსნო საქმით გატაცებულ ახალგაზრდობას მოეფლინა ახალი კერპი: ვალერი ჩკალოვი!

სამამულო ავიაცია ბევრ თავის საუკეთესო მფრინავს ალბათ ვალერი ჩკალოვის ზღაპრულ პოპულარობას უნდა უმადლოდეს.

ჩემს ცხოვრებაშიც მთავარი ადამიანი ვალერი ჩკალოვი გახლდათ. მე მას პირადად ვიცნობდი. მაშინ რუსეთში ვმსახურობდი. ერთხელ მოსკოვიდან დარეკეს და ვალერი ჩკალოვის საჩქაროდ მოძებნა დამავალეს. ამ პატარა დავალების შესრულება ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

...გმირის მეკრდს, ოქროს ვარსკვლავის გარდა, სხვადასხვა ჯილდოს ლენტების შვიდი მწკრივი ამშვენებს და ჩვენი საუბარი მშვიდობიანი დღეებიდან თანდათან ინაცვლებს ომის გზებზე.

- სად მოვისწროთ ომმა?
- საქართველოში.
- სად და როდის მიიღეთ პირველი საბრძოლო ნათლობა?

— ფინეთში, 1939 წელს. მაშინ ჩქაროსნულ ბომბდამშენზე ვიყავი.

— ყველაზე მეტად რომელი ბრძოლა დაგახსოვდა?
— ო, მე ყველა ბრძოლა კარგად მახსოვს, მათი დავიწყება იოლი როდია.

— რომელი ბრძოლებისათვის მიიღეთ საბჭოთა კავშირის გმირობა?

— ფინეთში, მანერჰეიმის ხაზის გარღვევისათვის. ეს ფრიად გამაგრებული, მეტისმეტად ძნელად გასარღვევი ხაზი იყო. ჩემი ბრიგადა 125 თვითმფრინავისაგან შედგებოდა. ჩემს გარდა ამ ბრძოლებში წარმატებისათვის 18-მა მფრინავმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირობა.

— ომის ყველაზე მძიმე დღე?

გმირი ჩაფიქრდა, მალალ შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა. შეშუპებული თვალის ქუთუთოები ზე ასწია და მივხვდი, რომ გონების თვალთ შორს, წარსულში იხედებოდა და ხედავდა ერთიმეორეზე უფრო მძიმე დღეებს: უკანდახევის მწარე დღეებს, დაჭრისა და კონტუსიის ბურუსიან, ტკივილიან დღეებს, კვლავ განიცდიდა მეგობრის დაღუპვის სიმწარეს, ადამიანთა სიცოცხლისათვის პასუხისმგებლის სიმძიმეს და ვიფიქრე, რომ უმჯობესი იქნებოდა ეს შეკითხვა არ მიმეცა.

მაგრამ აი, მან ერთი ეპიზოდი მოიგონა: გერმანელები დონზე გადმოდიოდნენ. სტალინგრადისაკენ ისწრაფოდნენ. მაშინ ვლადიმერ ნანეიშვილი მთავარსარდლობის ბანაკის რეზერვთა ავიაჯგუფს ხელმძღვანელობდა.

საბჭოთა მოიერიშეები და ბომბდამშენები მდინარეზე გადასასვლელს ბომბავდნენ.

პაერიდან რომ დაგვედათ, გვეგონებოდათ, გერმანიის მთელი არმია აქ არისო.

ურიცხვი ტანკის გადმოსვლას გერმანელების არანაკლებ რიცხვმრავალი თვითმფრინავები და მეზენიტები იცავდნენ.

უთანასწორო ბრძოლების შედეგად, ჩვენი 100 თვითმფრინავიდან მხოლოდ სამი თვითმფრინავი და 7 მფრინავი გადარჩა.

სწორედ ამ დროს მიღებული იქნა ბრძანება:

— უნდა შეაფერხოთ მტრის ტანკების გადმოყვანა მდინარეზე.

უკანასკნელად მოეწყენ მფრინავები ხაზზე. ნანეიშვილმა გააცნო ბრძანება და დაუმატა:

— დავალბა უაღრესად მძიმეა უკან არცერთს აღარ გელოდებით. ვინ წახვალთ?

შვიდივე მფრინავმა მსადყოფნის ნიშნად ერთი ნაბიჯი წაადგა წინ.

უკან მართლაც არცერთი აღარ დაბრუნებულა...

მდინარეზე მტრის გადასვლა შეჩერებულ იქნა, მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა ვლადიმერს, ენახა იმ ბრძოლის ფოტოსურათები, რომელიც მაშინ ჩვენს მხვერავს თვითმფრინავიდან გადაეღო.

ეს იყო წარმოდგენილი სიმწარე — ნაღვ სიკვდილზე ადამიანთა გაგზავნა.

— თუ ხვდებით მებრძოლ მეგობრებს?

— ბევრი აღარავინ დარჩა ცოცხალი და რამდენადაც მახსოვს, თავისი სიკვდილით არცერთი არ მომკვდარა.

— თქვენ კი დაგინდოთ ტყვიამ, არა?

— მეც ორჯერ მომეხსალა სიკვდილი, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჯერხობით მე ვაჯობე.

მასსოვს, ვისლის პლაცდარმზე ჩამოგვადეს მე და ჩემი მფრინავი ავაჯანოვი. მცირე, ნეიტრალურ ადგილზე მოვხვდით, მაგრამ სულ ახლოს გერმანელები იყვნენ; შეგვნიშნეს და სროლა აგვიტყეს.

მე პაერიდან უვნებლად ჩამოვალწვი ძირს, მაგრამ, როცა დაჭრილი ამხანაგი თვითმფრინავის კაბინიდან ამომყავდა, მაშინ მომწვდა ტყვია.

ჩვენებმაც შეგვნიშნეს. რის ვაი-ვაგლახით მოაღწია ჩვენამდე ორმა წითელარმიელმა.

— ამხანაგო გენერალო, ნაბრძანები გვაქვს თქვენი გაყვანა!

მე ვუთხარი, მეორე ამხანაგი გაიყვანეთ-მეთქი. ის უფრო მძიმედ იყო დაჭრილი.

წითელარმიელები შეყოყმანდნენ.

— ბრძანებაა, ამხანაგო გენერალო...
მე არ გავყვი.

მაშინ ისინი წავიდნენ, იქნებ კიდევ მოვახერხოთ ვინმეს მოყვანაო.

6 საათის განმავლობაში ძლივს მოაღწიეს ჩვენამდე. სისხლისგან ვიცლებოდით.

მასსოვს, როცა პოსპიტალში მოვხვდი, 95-ის ნაცვლად 40 ერთეული ჰემოგლობინი მქონდა სისხლში.

მეგობარი კი დამედუპა...
— რამდენი ჯილდო გაქვთ მიღებული და რომელი ბრძოლებისთვის?

— 16 ორდენი (აქედან 4 — საზღვარგარეთისა) და 27 მედალი — კავკასიონის, სტალინგრადის ბრძოლებში, კურსკის რკალთან, კიევის, ლვოვის ოპერაციებში...

67 წლის გენერალს უჭირს ჩამოთვალოს ყველა ის ბრძოლა, რომლებშიც უჩვეულო მამაცობის გამოჩენისათვის ამშვენებს შის მკერდს ეს რეგალიები.

— ახლა რომ იწყებდეთ ცხოვრებას და იცოდეთ, რომ ამდენი საფრთხე მოგელით, მაინც მფრინავი გახდებოდით?

— ალბათ, რადგან ახლა ჩემთვის ძნელია სხვა პროფესიის ადამიანად წარმოვიდგინო თავი, თანაც სიჭაბუკის მიზანს ვერ ვუღალატებდი. აი, მაგალითად, ჩემი შვილი ვორონევის უნივერსიტეტში სწავლობდა. მეორე კურსზე უცებ თავი დაანება უნივერსიტეტს და სწორედ იმ სასწავლებელში შევიდა, სადაც მე მფრინავის კვალიფიკაცია მივიღე.

რა მექნა, ვეღარაფერი ვუთხარი. ან კი რა მქონდა სათქმელი. 5 წლისა იყო, თვითმფრინავში პირველად რომ ჩავსვი. გვარიანი რთული ილეთები გაგაკეთე და მერე ვუთხარი: აბა, გაიოზ, ახლა მიჩვენე, სად არის ჩვენი სადგომი-მეთქი. უშეცდომოდ გამოიცნო.

ალბათ იმ დღიდან გაუჩნდა მასაც მიზანი და შემდეგ მიზნის ერთგულება გამოიჩინა. აკადემიაში სწავლობს.

ასეა, ცოტას როდი ნიშნავს, რაზე ოცნებობ ზავშობაში. ჩემს დროს მაინც ერთეულები ახერხებდნენ მიზნის მიღწევას. დრო იყო ისეთი, ახლა კი...

— რას უსურვებდით „პიონერის“ მკითხველებს, მათ, ვინც ამჟამად 14 წლისაა და ახლა ირჩევს ცხოვრების გზას?

— სწორედ არჩეული მიზნის ერთგულებას, ოცნების ფრთაშესხმას და მშვიდობიან, უღრუბლო ზეცას, რომელშიაც ფრენის სიამოვნებას ვერაფერი შეეღრუბა.

ნარშიუა მხელაქი

ქ ე რ ო კ ი ნ ა

პალენგინა კვილინა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ბაბაი თევზაძე

მზიანი დღე იდგა. ჩუმად მიდუღუნებდა სინეზორკა. ქალები ტივზე პარტიზანების საცვლებს რეცხავდნენ, როგორც ეს მშვიდობიანობისას იცოდნენ. სატყეც ჯობებს აბრაზუნებდნენ. არყის ტყეში შეჭრილ ველზე ბავშვები თამაშობდნენ.

ზოგი არყის ხეზე ასულიყო, ტოტი გადმოეზნიქა და ქანაობდა, ტოტი პირდაპირ მიწაზე ეტყულაშენებოდა. ხე კი ჟინიანობდა და ეწინააღმდეგებოდა. შესწორდებოდა, გალამაზდებოდა და ძველებურად კოხტად დადგებოდა. ასე ადვილი არ არის ხის გადატეხა.

ეგორიჩმა მალე შეამჩნია მავნე თამაში. გაბრაზდა და ბავშვებს დაუყვირა:

— აი, თქვე უკულო ჭინკებო! ასეთი სილამაზის განადგურება იქნება? ფაშისტები ხომ არა ხართ?

ბიჭები გაიფანტნენ, ზემოდან გადაეშენენ სინეზორკაში და წყლიდან ამოსძახეს სიცილით:

— აღარ ვიზამთ, ეგორიჩ! ნუ ბრაზობ. უკულო ჭინკებს ნუ გვეძახი რა! კულიანი ჭინკებიც არსებობენ?

— რა უნდა ელაპარაკო მავათ!—ეგორიჩმა ანტომას გაუღიმა. გაუხარდა ბიჭებმა ხეებს თავი რომ დაანებეს.

არაყის შეუშინევი, როგორ გამოსრიალდა სინეზორკის ცაზე თვითმფრინავი. ტყეს თავზე გადაევლო, ცოტა დააკლდა ხის კენწეროებს არ წამოედო. უეცრად ტყვიამფრქვევი აკაკანდა.

ეგორიჩმა ხელი სტაცა ანტომას, ერთ ვეება არყის ხეზე მიაყრდნო და თვითონ ზედ გადაეფარა.

ყუმბარა ახლოს დავარდა. მხურვალე ტალღამ ამოიფშვინა, იქაურობა გააყრუა, არყის ხეს, რომელთანაც ანტომა და ეგორიჩი იყვნენ მიყუყულები, ჭურვის ნამსხვრევები ჩაესო, ხიდან წვენი ისე გადმოიფრქვა, თითქოს ტკივილისაგან ცრემლები გადმოედინაო, წაბარბაცდა დაჭრილი არყის ხე, მაგრამ მაინც გაუძლო. მოხუცმა მეტყევემ გულში მადლობა გადაუხადა ხეს. რამდენი სიმღერა არსებობს არყის ხეზე. ეს მწვანედ აქოჩრილი მცენარე კი, თურმე მხოლოდ ნაზი სიმღერებისათვის არ ვაჩენილა ქვეყნად!

ანტომა სათამაშო ჯარისკაცივით უვლიდა ხეს გარშემო, როგორც ეგორიჩმა ასწავლა და თავს იცავდა მტრის

ტყვიისაგან. თითქოს დამალობანას ეთამაშება მტრის მფრინავსო. უეცრად საშინელი ყვირილი მოისმა. ველზე, მდინარის პირას დიმიტრუშკა მოცელილივით დავარდა და ხმა ჩაკმინდა.

ეგორიჩს საფრთხე დააეიწყა, ველარ მოითმინა.

— შენ აქედან ფეხი არ მოიცივლო, ხეს ამოეფარე. ახლავე მოვალ — ეგორიჩი გაიქცა, წელში არც კი მოხრილა. ისე მირბოდა დიმიტრუშკასკენ. სანამ გერმანელი ახალ წრეს აკეთებდა, მოასწრო ბიჭის აყვანა და ხეს ამოეფარა. დიმიტრუშკა გამოეკვია, დაიღრიალა და ისევ დაკარგა გონება. ღმუილით დასტრიალებდა თვითმფრინავი ტყეს. უკანასკნელი ყუმბარა სინეზორკაში ჩააგდო და პირი იბრუნა.

ანტომამ შეამჩნია, რომ ეგორიჩი ხშირად მიწას ყურს ადებს და უსმენს. თითქოს რაღაც საიდუმლოს გაგება სურსო. მერე გაიღიმებს და იტყვის ხოლმე: „მადლობა ღმერთს, გუგუნებს“.

ეგორიჩს ჩიტის სმენა ჰქონდა. „ჩვენები მოდიან“ — ხმას აწვდიდა მიწა და ირხეოდა შორეული აფეთქებისაგან. ცუდ დღეში ჩაცვივდნენ გერმანელები. ტყემ გადაუჭრა მტერს გზა. პირდაპირ ჭაობს მიაყენა. ყოველ ხის უკან პარტიზანია ჩასაფრებული, გზის ასაქცევთან კი მატარებლები ფერდობებზე ცვივიან, სინეზორკაზე ხილი მტრის საბარგო მანქანასთან ერთად ავარდა ჰაერში.

პირველად გერმანელებმა აიძულეს მცხოვრებლები ტყე გამოეჩხათ, რომ უფრო უშიშარი ყოფილიყო მოძრაობა. მაგრამ ეს ეგრე იოლია? დაიწყო გერმანელების თავდასხმა ტყეზე.

პარტიზანები მიდიოდნენ. ჭაობებში იფანტებოდნენ, გერმანელებმა გზა არ იცოდნენ, ალყით მოდიოდნენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ პარტიზანები შეეპყროთ და მერე გასწორებოდნენ. ერთბაშად სამი მხრიდან მოდიოდნენ, ალყას კრავდნენ.

კუდიარელებს მიწურების მიტოვება მოუხდათ, ახალი თავშესაფარი უნდა მოეძებნათ. მათი მეთაური ეგორიჩი იყო. მიდიოდა წინ, მხარზე სანადირო ბერდენკა ჰქონდა გადაკიდებული, სურსათის ჩანთაც ზურგზე ეკიდა. ვინ იცის კიდევ რამდენი ხეტიალი დასჭირდებოდათ.

ანტომასაც აჰკიდა ტვირთი ზურგზე.
მიდის და ჩქარობს ანტომას, ეშინია ეგორიჩის არ ჩამორჩეს.

— შორს არის კიდევ?

— კუნძულზე მივდივართ. იქ გერმანელი კი არა, ჩვენი-ანიც ვერ გამოვა, თუ არ იცის ერთი საიდუმლო გზა. კუნძულისაკენ მიმავალ ქვა-რიყით დაგებულ გზას ზემოდან წყალი ეფარება, ალაგ-ალაგ კი ხავსი აქვს მოდებულნი. გამოუცდელი თვალი ვერც კი შეამჩნევს ამ საიდუმლო ქვა-რიყეს, თუ არ იცის მისი არსებობა.

ანტომას გაუხარდა, რომ ალაპარაკდა მოხუცი. როცა ვინმე გესაუბრება, მაშინ არაფრისა გეშინია, სიარულიც უფრო იოლია.

— ეგორიჩ, — საიდან გაჩნდა ჭაობში რიყე?

— საიდან? ვინ იცის. ალბათ დიდიხნის წინათ მონადირეებმა ჩააწყეს. კუნძულზე ძალიან ბევრი გარეული ფრინველი იცის. ყველანაირი ცხოველი ცხოვრობს. ახლა უკვე ნაკრძალად გამოცხადდა.

ტყუილად არ დელავდა ეგორიჩი. კუნძულზე ასვლა დიდი გაბედულება იყო. სამივე მხარე გარემოცული იყო გერმანელებით. შეუმჩნევლად უნდა გაევილი.

მიდიოდნენ ლტოლვილები, ფრთხილად მიიპარებოდნენ. ჩამავალი მზე თვალს სჭრიდათ. ერთი ბეწო ფაჩუნიც კი არ ეპარებოდათ. უეცრად ეგორიჩმა შეწყობილი ნაბიჯის ხმა დაიჭირა. უმალ თხილნარში შეცვივდნენ. ყველანი გაისუსნენ. გორაკზე ცხენოსანი გამოჩნდა. ეგორიჩმა იცნო, მეზობელ პარტიზანთა რაზმიდან იყო. იმანაც იცნო მეტყვე და შეჩერდა.

— დაბნელებას დაელოდეთ, — ურჩია, — გერმანელების ტექნიკა დაიძრა. ვაჟკაცობით ვერ დააღწევთ თავს.

პარტიზანი გამოემშვიდობა მოხუცს და გაქუსლა. ეგორიჩმა კი სასწრაფოდ გადაიყვანა სუყველანი გზიდან, ღრმად შევიდნენ ძეძვიანში, რომ მტერს არ წაწყდომოდნენ. გზა მალე აგუგუნდა, ტანკები სწრაფად მოდიოდნენ. იარაღმიბმული მანქანები ოღროჩოღროზე რახრახებდნენ. თვითმფრინავები ტრიალებდნენ და მსხვერპლს ეძებდნენ. ლტოლვილებმა იმ ღამით ვერ მოახერხეს კუნძულზე გადასვლა. მეორე ღამეს დაელოდნენ. ჩუმად ისხდნენ, სიცივისაგან ცახცახებდნენ. განთიადისას ცეცხლი დაანთეს და ქატოს ფაფა მოხარშეს.

ეგორიჩი დასაზვერად გავიდა. მალე დაბრუნდა.

— ჩააქრეთ ცეცხლი! — ბრძანა. — გერმანელები აქვე არიან, უნდა დავიმალოთ. ჩუმად იყავით!

ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. გერმანელები სულ ახლოს მოდიოდნენ. ერთმა სიმღერა წამოიწყო, ალბათ გულის გასამაგრებლად. გერმანელებს ეშინიათ პარტიზანულ ტყეში სიარული. მერე ხმები მიწყნარდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა მოგივიდა, წეროკინავ? — შეშფოთდა ეგორიჩი ანტომას უჩუმარ წამოკენსებაზე. ანტომას მოკუნტული დაეცა მიწაზე, ეცა ბალახს, მოგლიჯა და ფეხზე დაიღო.

— რა მოგივიდა? — ჩაეკითხა ეგორიჩი.

— ნალერდალს დავადგი, დამეწვა.
ბიჭუნას ნებისყოფამ ყველა გააოცა.
ფეხი ძალზე ეწვოდა, მაგრამ კრინტს არ სძრავდა, სველ ბალახს იდებდა რომ გახურებული ფეხი გაეგრილებინა.

ღამეს ელოდნენ კუდეიარელები. თვით ბუნებამაც თანაუგრძნო. მთვარე ღრუბლებში მიიმალა.

სამაგიეროდ გერმანელებს აშინებდათ ასეთი უკუნი ღამე. ცეცხლმფრქვევ ტყვიებს ისროდნენ. ზემოთ ელექტრონათურებივით დაეკიდებოდა შუშხუნა და იმწამსვე სროლა იწყებოდა. ისე ისროდნენ, უმიზნოდ, ოღონდ სიჩუმე არ ყოფილიყო.

ცოტახნით მიყუჩდა. ხეები ისე იდგნენ გარინდებულნი,



თითქმის ცახცახს იცავდნენ და კენჭრობები ვაგრემო გადასაყურებდნენ.

— წავედით! — ჩუმად ბრძანა ევარიჩმა.

— წავედით! წავედით! — ჩუმად გადასცეს დანარჩენებს.

მთლიანდნენ წინში მოხარული დღამიანები, წინ გახილულ ველ ილა, ამაყად თუ დადსტრავდნენ, მერე შამბნარი იწყებოდა და სწრაფად მივიდა გაივლიდნენ. კუნძული მტრისათვის მიუღწეველია, მაგრამ ვერ მოასწრეს მისვლა. შეშუპუნა-ნათურა პერსია ავარდა და თითქმის უხილავად შეათვალნენ ჩამოყვარა. აქვდა მიწის ვანერხობა, ჯირკმბთან მიუჩნდნენ, დახნულა. ციციანოელები თვის ანათებენ დაპალო შეცნაობები.

— წავედით! — ისევ ფრთხილად უბრძანა დაღლილ ხალხს ევარიჩმა.

დაღმუხებული ბრბო მძიმად სუნთქავდა და ჩქარობდა.

ბი შყარ. მშრალ მიწაზე, გერმანელებთან უღარიმი, ლეღიანი დავარტყლა გაუფლანა გზა ამოხრებდა.

სინეზორასზე მოტორიანმა ნაგში ხმებით გაიარა. კუნძოვითად სროლა მოიხსნა. მაგრამ აღარაფერი აღარ ამინებდა ლეღილებს. უმოშრა და სანდო დღისათვის იყვნენ.

გაჩივრებულ დადილა ევარიჩი საიდუმლო გზით პარტიზანულბრძან. იქიდან კარგი და სისხიარული ამბები მოჰქონდა.

გერმანელები უკან იხივდნენ. ახლა განათარქვებულად ღილი ღრე აღარ იყო. უხაროვად კვდივარქვლეს. უხაროვად ანტონშას ჩვენიც მოვლენ და დღესაც შოი მოჰქვებოდა. ნატალია და მითაც დაბრუნდნენ.

ნტიკავ მალე იქნებოდა ყველაფერი ევარიჩი დარღობდა: ნატალია აღარაფერი იყოლა, მიტაცა დაიარქვად დღესათან წავედა ქალაქში და იმის შემდეგ არ დაბრუნდა.



შვიდნენ ბუჩქნარში, ხელში ეკაწრებოდათ. ტანსაცმელი მიტოვებდა, ძლივს მიიკლევდნენ გზას.

ნელა მიდიდნენ, გულგრილად, აღარაფრის აღარ ეგონოდათ. ევარიჩს დაჭრილი დიბრუქვა ხელში ჰყავდა ავარილი. უკან ძლივს მოაბიჯებდა ანტონშა. დამწვარი ფეხები ხან ფიხნი, ხან ზეითი ამოყრილი ფეხები ესიბოდა. ერთს შეუკვირებდა ბიჭი და იშუამსვე ჩუმდებოდა.

როგორც იქნა, საიდუმლო რიგებ გამოვიდნენ. ლოპალაში რომ არ ჩავეციდითაყენ ხელი-ხელ ჩაიდებულე მივიდნენ. ევარიჩს დანიშნული ადგილები ქვირდა, იცოდა, როგორ გასულიყო საიდუმლო ადგილთან, ფეხს ფრხოლავდა, მაგრამ გაბედულად ადგამდა. ხალხიც გაბედულად მიჰყავდა. მალე დადგნენ კუდივარქვულე

ბულა. ვეღარ მოითინა ევარიჩმა, ქალაქში წაიდა ავბინი გასაყვებად. მხოლოდ მესამედ დღეს დაბრუნდა, საღამო ხანს. დაქდა და თავი ჩაქინდა.

— რატომ ხარ მოწყვენილი, ევარიჩი? — ეკითხებოდა ბებია სტეფანია — მე რას მიმადლა ერთად უფრო ადვილად არ გადავიტანთ უხედეტებს?

— ნატალია დაიღუპა. — ჩუმად თქვა ევარიჩმა. მერე ამოიხარა და ჩუმად დაამბა. — მიტასთან ერთად დავარქვულა. ახლან გერმანელებმა დახოკეს.

— საწყალი დაშვებდა! — მოთქმა დაიწყო სტეფანიანამ. — დახოკეს! დახოკეს!

სტეფანიანს ტორილზე ხალხი მოგროვდა. მოსულე შეტყვის სანდოე რეუბოტებმა გაიკვინა და აშუალებდნენ.

ხან უხმოდ შეუკვირებდნენ და მასთან ერთად განიციდნენ მის უხედეტებს.

კვიან დაიწმუნა ევარიჩი გაუნძეველად იქადა. მწარედ ოხრავდა. არაფრისთან არ უხლავდა ლაპარაკი. ანტონშას ახლა ისევ შეეშინა. განა მართო მანის გემონია, როცა მტერი უკან მოვიდა მისაკლავად. მაშინაც გემონია, როცა კეთილი ევარიჩი ზის და ერთ წერტილს მისჩერებოდა, თანდათან სულ ოხრებდა და იხებდა მიწისაკვან. ასწავს თავს და ისევ დაღლილი.

ანტონშას უტყავდა ძალმუხად აუჯივრდა გული. ევარიჩი უხლავდა, მაგრამ სულ ევარიჩს დასამწვრივებელი სიტყვები არ იცოდა, რომლებსაც ახელ თვის ამბობენ უფროსები. მხოლოდ სიზარატულია და სიყვარულით შეუკვირებდა ევარიჩს. ევარიჩი ვაძინებდა მის სისათუთეს, უფრო მოიხარა და ატრიადა.

ანტონშა დასაძინებულად დააწვინა ევარიჩმა და ტუეში წაიღო. მერე სინეზორასთან გავიდა და ნაპირთან იქადა გათუნებამდე.

სინეზორაც კურს უგდებდა მოხუცი შეტყვის ჩივლს და ჩემი მზულით ემხუტებოდა მის ღილ უხედეტებს.

ჩვენები დილით მოვიდნენ. ისინი პირველად ევარიჩმა დანინა სინეზორასთან რომ ბრუნდებოდა. ჩვენები მანქანებით მიდიდნენ, დობაროდსისაკვირ მთიჭაროდნენ. ქალაქში ისევ გრძელდებოდა ბრძოლები.

ევარიჩმა კუდივარქვები გააღვიდა.

— ჩვენები მოდიან, ჩვენები! შინისაკვირ, ხალხნი!

ლეღილებს განაზღუბდა რა უხლავდა, წამოდნენ და რეუბოტებზე საიდუმლო გზას. გაიხილნენ ტუეცი, მიდიდნენ ხალხი გზაზე. წაუშინა გამართული და მთიარული. იმ ხალხს აღარ ჰგავდა, კუნძულსაკვირ რომ მიიანებოდა.

უკან მანქანა შეჩერდა. მებრძოლები და კუდივარქვები ერთმანეთში აირივნენ, მათი რეუბოტე სუბარის გააბეს, ხან კი ბუნებრივად ტრიალდნენ.

მანქანადაც საძებრო ტანსაცმელში ჩაკმული ვარდნილია. ქალს კეთილი ხალხი ჰქონდა. — ისეთი, სწრაფად რომ აქვს დღეს! — გაიფიქრა ანტონშამ. უხლავდა და ეყვარა: — დღეს! — მივარდნოდა, მაგრამ ვერ გაეშინა. იღვან და მიწყენილი შეუკვირებდა.

— შენ რა დარბაისილი კაცივით დგებიარ! — გამოელოპარავა ქალი.

— მე შეგონა ჩემი დედა იყავით, ევარიჩი! შეიძინა გერმანელებს განდევნილი და დღეს მოვიდა, მართამ დედა არ ჩამოვიდა.

— შე სიზარატული! — ტუეში უხედეტად ხაი რა ვაძლებენები!

— მართო არა ვარ, ევარიჩთან ვარ. — უბასუხა ანტონშამ. — ევარიჩი, მოდი აქ! — დაუძახა.

მაგრამ ამ დროს მძილომა მანქანა დააყვირა და ანტონშას შინა დაიწვინა:

— მე შეძახიან, — თქვა ქალმა — უნდა წაიღო. — ჩანთიდან შევიღოდა ამილოლა, ანტონშას მისაც და აკვირა. — მოვიღოთ! — გამოსხადა გამოშვებებისას, — აუცილებლად დაბრუნდება დედა, იმედო არ ვაძლავიქვიტო!

მანქანა წავიდა, მაგრამ დაღმურებული ანტონშა ისევ უხედეტად ხელს. მანქანები მიჰქონდნენ. ანტონშა ელოდა, არ, ახლა გაჩერდება მანქანა და დედა ვადმოვიდა. უკვე დიდი ხნის ვაფანტული იყვნენ კუდივარქვები, ის და ივარიჩი კი ისევ მანქანებს აცულებდნენ. გრძელით მიდიდნენ დობაროდსისაკვირ, სადაც ბრძოლები კოვე იყო.

— წავიდეთ, წეროცინა, — ჩუმად უბრძანა ევარიჩმა, თუშენა თეთიონაც უხლავდა გზაზე დროში ცარიელ ქოშში დაბრუნება ეშინოდა, სადაც აღარასოდეს აღარ მივიდნენ ციციანოელები გოლითი მითაცა და ლერწამებით ჩამოქნული ნატალია. ევარიჩი და ანტონშა დღესაც მიაბიჯებდნენ გზაზე, ორგველ სასუთარ ფიქრით იყო გაართული. სტეფანიანამ მოასწრო იმ კუდივარქვებთან მებრძანა, რომლებიც გერმანელებს მიწურებში ემალებდნენ. ახლა კი სიძველში გაბრძოდა, ვინ იყის რა დახედეტობდა იქ. ვაუხარდა ევარიჩის დანახვა. თითქმის დილიხნის უხანებო ჰყავდა. მირბოდა და გაიხილავდა: — გენაცვალეთ, ჩვენები მოვიდნენ! ძლივს არ ვევიღო! ხა ბედნიერება და სიხარული — თან თავისი სასწაული სიზმარი მოვიგონა:

— ხომ მოჰყვითეს თავი იმ ოხერ-ტალად გვესს! ევარიჩს ვაჯივინა. იცოდა ბებია სტეფანიანის ნაირ-ნაირი სიზმრების ოსტატო იყო. ტუედილად კი არ შეიკვირეს კუდივარქვებსა, ოსტაინი სტეფანიან.

— ახლა რა მომეჩვენა, რა სასწაული ნახე! — საიდუმლოდ მოჰყავდა სტეფანიანა. — სინეზორასზე წყლისათვის ჩავედილ და რას ხედავს ჩემი თვალები — დგას ორიოცედილი ნაპირზე რეკვირებოდა, ამისკვლად უხლავდა ხალხს ათავარებდნენ. მე ხელს არ შეშინებულეს, სხვის შექედნულ. პირდაპირ დარღინა დაამიანებ ვაძინდნენ.

სტეფანიანა გამოვეყვინებოდა და კუდივარქვი წავიღო, მე და ევარიჩი კი სინეზორასაკვირ ვავეყვინა. როგორც სტეფანიანა ბებიადა თქვა, სწრაფად ისე იღვივნე წავები ნაპირზე და ვიღაცა ეკლდნენ.



— ო, თქვე უკუდო ჭინკებო! — გაუხარდა ეგორიჩს სუსნიასი და ბურდლუნას დანახვა. — ცოცხლები გადარჩენილან, ომში არ დაკარგულან საწყლები. ეტყობა, ამა-ბაც იციან ადამიანივით სევდა!

ანტოშამ ცხოველებს დაუძახა. ხელად სცქვიტეს ყურები, არ დაიბნენ — იცნეს.

— ეგორიჩ, შენ სუსნია აიყვანე, კეთილია, მე ბურდლუნას ავიყვან, ძალიან მოუსვენარია და შეგაწუხებთ. — სულ მიტიასავით თქვა ანტოშამ.

წავებს წინაღმდეგობა არ გაუწევიათ: გაუხარდათ ადამიანების დანახვა. ოთხივემ შინისკენ გასწია.

სადარაჯო ქოხი შორიდან გამოჩნდა. გაეძლო უბედურებისათვის, უფრო მაგრა შეზრდოდა ნაპირს.



— ჩქარა წამოდი, — სთხოვა ეგორიჩს ანტოშამ, — ალბათ დედა გველოდება. მე არყის ხეს ვთხოვე, დედა ჩამოვიდეს-მეთქი. წავიდეთ რა! — ანტოშა მირბოდა, ეგორიჩი კი თავისი ძლიერი და დიდი ნაბიჯებით მიაბოტებდა.

შინ არავინ დახვდათ და ანტოშამ უეცრად მოიწყინა.

— როდის მოვა დედა?.. შენ ხომ თქვი: „გერმანელებს განდევნიან და, დედაც მოვაო“. ველოდები, ველოდები. აბა სად არის?

— სულ მალე მოვა. — უთხრა ეგორიჩმა ანტოშას. — ცოტაც მოითმინე.

ეგორიჩი მართალს ამბობდა. დობროვოდსკელმა ნაც-ნობებმა უთხრეს, ოლგა პეტროვნა ცოცხალია, მეზობელს წერილი მოსწერა, მალე ჩამოვალო. პეტია და ვოვაც თან მყავსო. ამ ბოლო დროს ანტოშა ძმებს სულ აღარ ახსენებდა, დედას კი მოუთმენლად ელოდა.

ეგორიჩმა გადაწყვიტა ოლგა პეტროვნას დობროვოდსკში დალოდებოდა, მის ჩამოსვლამდე ბინაც შეეკეთებინა. მთელი კვირა მუშაობდნენ ეგორიჩი და ანტოშა. კვირას კი კლუბში წავიდნენ. კლუბში სადღესასწაულო საღამო იყო. პარტიზანებს ავილდოვებდნენ. ეგორიჩიც, თავისი ჯილდოს, წითელი ვარსკვლავის ორდენის მისაღებად მოვიდა.

დიდხანს უკრავდნენ ტაშს მოხუც პარტიზანს. რაიონში ყველა იცნობდა, როგორც კარგ მეტყევეს და პარტიზანელების მზვერავს. ეგორიჩს საერთოდ მკაცრი სახე ჰქონდა. ახლა კი, როცა ნატალია და მიტია ორდენებით დააჯილდოვეს, უფრო მკაცრი სახე გაუხდა. თავი ყველას მდაბლად დაუქრა, უხმოდ მადლობა გადაუხადა, ბოლმა აღრჩობდა, რომ შვილი და შვილიშვილი თვითონ არ ღებულობდნენ თავიანთ ჯილდოებს.

ანტოშაც არ დავიწყებიათ. პარტიზანელების მეთაურმა კარგად იცოდა, ეგორიჩთან ერთად რომ დადიოდა დობროვოდსკში დაზვერვაზე. ისიც იცოდა, როგორ დროულად გააფრთხილა კუდვიარელები ანტოშამ. მეთაურმა ხალხს ყველაფერი უამბო, პატარა პარტიზანი შეაქო, აკო-

ცა და თავის „პილოტიდან“ წითელი ვარსკვლავის ორდენი სწავს და მკერდზე გაუკეთა.

კლუბში ზეიმი ვაგრძელდა და ეგორიჩმა ანტოშა სახლში გაგზავნა.

— შენ გაიქეცი, წეროკინა, იქნებ დედაშენი დაბრუნდა, მე აქ კიდევ უნდა ვიყო. გაიქეცი და მეც მალე მოვალ.

ანტოშა წავიდა, შორს არ იყო წასასვლელი. კლუბი იმათი სახლის გვერდით იყო.

ოთახში, სადაც ამ ბოლო დროს ანტოშა და ეგორიჩი ცხოვრობდნენ, ორი ბიჭი შესულიყო. უფროსი ანტოშას მაგიდაზე დატოვებულ დედის სურათს იღებდა ჩარჩოდან, უმცროსი კი ცდილობდა ჩარჩოზე მიკრული ხის კოდალა მოეძრო.

— მომეცი! — იყვირა ანტოშამ. — ჩემი დედაა.

მაგრამ ორივეს ჩარჩო მაგრად ეჭირა და არ უშვებდნენ.

— ჩვენი დედაა! — უთხრა უფროსმა.

უმცროსმაც გაიმეორა.

ანტოშამ სურათი გამოსტაცა, მაგრამ ბიჭები მაგრად დაებლაუტნენ.

— დედა! დედა! — იყვირა უმცროსმა.

— ვოვა! პეტია! რა მოხდა? — მეზობელ ოთახიდან გაისმა მკაცრი ხმა. ანტოშა სურათს ხელს არ უშვებდა.

— ურჩევნიათ, ჩემი დედა მომცენ. ეს მაგათი დედა არ არის!

— ანტოშა, შვილო! — ქალს ხმა აუცახცახდა და ბიჭი უხმოდ მიიკრა გულზე.

ვოვა და პეტია წარბებს ქვემოდან უცქეროდნენ ანტოშას. ვოვა გაბრაზდა:

— ეგ არ არის ჩვენი ძმა!

— თქვენი ძმაა, შვილებო, — უპასუხა ქალმა. — დაგავიწყდათ?

გაბუტული ბიჭები უნდობლად შეჰყურებდნენ ანტოშას, ის კი გაოგნებული იდგა და თავს ზემოთ არ სწევდა. დედის შეხედვის ეშინოდა, მალულად გააპარებდა ხოლმე თვალს იმისკენ.

„არა! ეს ჩემი დედა არ არის, დედას კეთილი სახე ჰქონდა, ეს კი შრამიანია“. — ფიქრობდა ანტოშა.

ანტოშას დედას ლოყაზე ღრმა ჭრილობის ნაწიბური ეტყობოდა. ეს იყო, სახეს რომ უმკაცრებდა. ანტოშა სდუმდა, არც იმისი დედა იღებდა ხმას. სიტყვა ვერ მოეძებნა ანტოშას დასამშვიდებელი. შვილთან შეხვედრამ შეაშფოთა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ პირმშომ ვერ იცნო, ანტოშას სახეზე დიდი საცოდაობა და შიში აღბეჭდილიყო. ანტოშას დედა ფანჯარასთან მივიდა და დიდხანს გასცქეროდა ქუჩას... მერე სახეზე ხელები აიფარა და იდგა ასე გარინდებული.

— დედა, უთხარი აქედან წავიდეს, — ეს ჩვენი ძმა არ არის, — ჯიუტად გაიძახოდა პეტია.

დედას არ ესმოდა ბიჭის ნათქვამი, ფიქრს წაელო...

„ნეტავი ეგორიჩი ჩქარა მოვიდოდეს“, — სევდა შემოაწვა ანტოშას, გული აუკვნესდა სწორედ ისე, როგორც მაშინ, კუნძულზე ეგორიჩი მიტიას და ნატალიას რომ ტიროდა.

ანტოშა ოთახში მარტო დარჩა. გაუნძრევლად იჯდა და თვალს არ აშორებდა კარს. მოვა თუ არა ეგორიჩი, იმწამსვე ტყეში წავალთ, ჩვენს ქოხში. — იმედოვნებდა ბიჭი, დედის სურათი მაგრად ეჭირა ხელში და გზას გასცქეროდა.

სწრაფი ნაბიჯით ევლო ეგორიჩს. მეზობლისაგან შეეტყო ანტოშას დედის ჩამოსვლა.

ანტოშა ეგორიჩს შემოეხვია, ხელი მაგრად ჩაჰკიდა და შესთხოვა: „ჩქარა წავიდეთ აქედან, წავიდეთ!“

— აი, შე უკულო ჭინკავ! — ეგორიჩი ანტოშას ბედნიერებას ისე გაეხარებინა, რომ ბიჭის ნათქვამს ყურს არ უცდებდა.

— მადლობა ღმერთს, დედაშენი დაბრუნდა. გაიხარე ახლა, უკულო ჭინკავ! სად არის? — მარტო რატომ ხარ?

— აქა ვარ, — გამოეხმაურა ანტოშას დედა, რომელიც ოთახში შემოსულიყო და მათ შეჰყურებდა.

— პეტროვნა! — შეჰყვირა ეგორიჩმა. ქალმა ფანჯრისაკენ იბრუნა პირი. ეგორიჩი შეცბა, ხომ არ მეშლებათ, უცებ ვერ მიამსგავსა.

— შენც ველარ მიცანი?
— რას ამბობ, პეტროვნა, — მაშინვე გიცანო. ომს თავისი დალი დაუძინე. ვის ალამაზებს ის ოხერი! მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ. ჩემები კი დაიღუპნენ, — ნადვლიანად თქვა ეგორიჩმა.

ჩაიზე პეტროვნამ და ეგორიჩმა საუბარი გააბეს.

— სოსნიცკის გზის გადასახვევთან დაბომბვა დაიწყეს. — ჰყვებოდა ოლგა პეტროვნა. — ვაგონიდან გადმოვცივდი და ტყეს მივაშურეთ. ჩვენს ახლოს ყუმბარა გასკდა. მე დავერუვდი. პეტია ხელში მეჭირა და არ დაჭრილა. ვოვაც გადამიჩა, ანტოშა კი დავეკარგე. ამდენ ხანს არ ვიცოდი სად იყო, რა დამართა. მე თვითონ მხოლოდ მატარებელში მოვედი გონს. მერე ჰოსპიტალში

ვიწევი. დიდხანს დამჭირდა მკურნალობა.

მძიმე მოგონებებმა ოლგა პეტროვნა ააღლევა. სახე ისევ მკაცრი და ცივი გაუხდა. შეშინებულმა ანტოშამ პირი აარიდა. „ეს ჩემი დედა არ არის, — გააფიქრა. — ჩემი დედა კეთილი იყო, ისე როგორც ეგორიჩი. ძალიან კარგად მახსოვს.“

— შენი მადლობელი ვარ, ეგორიჩ, — ისევ დაიწყო ლაპარაკი ოლგა პეტროვნამ. — მეც სიკეთით გადამხედოს შენი პატივისცემა.

ეგორიჩი გაცეხებული შეაჩერდა, იწყინა.

— ეგ რა თქვი, პეტროვნა. ჩვენს შორის რა ანგარიშები შეიძლება იყოს? ომმა გაასწორა ყველა ანგარიში!

ეგორიჩს უკვირდა ოლგა პეტროვნას მიუხედავად. სულ პატარებს ეაღერებოდა. წეროკინას კი უფრო მეტი მოფერება უნდოდა, რომ გული მოღობოდა. შესჩევოდა.

ეგორიჩი ადგა. ანტოშას მოეხვია, ტყის პაპა არ დაივიწყო. — უთხრა და დაემშვიდობა.

— ეგორიჩ! — იყვირა ანტოშამ, — მე შენთან წამოვალ.

ანტოშას თვალები სევდითა და შიშით ჰქონდა საესე, სწორედ ისე, იმ შემოდგომას, მოხუცმა ეგორიჩმა რომ იპოვნა ტყეში. ოლგა პეტროვნამ შეიღს სიყვარულით გადახედა.

ეგორიჩი აღელდა.

— ეგრე როგორ შეიძლება, წეროკინა? დედას სტოვებ? გახსოვს როგორ ველოდით? როგორც იყო გვეღირსა მისი ჩამოსვლა და შენ კი ჩემთან მოდიხარ? მე მალე გინახულე, ტყეში წავიდეთ. ჩვენი წავეები მოვიხახულოთ, კარგი?

ანტოშამ ხელი მორჩილად დაუშვა.

მან ეგორიჩი სინეზორკამდე მიაცილა, მერე მანამ უცქეროდა, სანამ სულ არ მიიმალა ბუჩქებში.

— ეგორიჩ! ხომ მოხვალ? — გასძახა ბიჭუნამ.

ეგორიჩს აღარ უპასუხნია. უკან მოუხედავად მიდიოდა. მხოლოდ წელში მოხრილიყო.

— ხომ მოხვალ, ეგორიჩ? მოხვალ? — ისმოდა სინეზორკაზე ანტოშას წკრიალა ხმა.





ს. რუბინიჩი
მ. სლუკოვი

გლავანი
ეიზუფაე

უხსოვარ დროს, როცა ფრინველები ჯერ კიდევ არ მიფრინავდნენ აფრიკისაკენ, ერთ ტყეში ირემი ცხოვრობდა. ამ ტყეს დათვი განაგებდა და იქ ჩვეულებრივი წესრიგი სუფევდა: ჩიტებს ბარტყებისთვის ჭიადლა მიჰქონდათ, კურდღლები სტაფილოს ახრამუნებდნენ, მგლები კი — კურდღლებს... ყველა თავისი საქმით იყო გართული. მხოლოდ ირემი დადიოდა ტყეში უსაქმოდ. იგი ძალიან ლამაზი ვახლდათ. მზინავი, ოქროსფერი ბეწვით შემოსილს მაღალი, ბარჯალა რქები საოცრად უხდებოდა. ირემი მზის პირველ სხივებთან ერთად გამოჩნდებოდა ხოლმე ტყეში. თვალს მოჰკრავდნენ თუ არა ფრინველები, მის სადიდებელ გალობას იწყებდნენ, მხეცები კი აღტაცებისაგან ერთ ადგილას შეშდებოდნენ.

— ეიშ, რა მშვენიერია! — ჭიკჭიკებდნენ მერცხლები.

— პირდაპირ ჭკუას დაგაკარგვინებს! — იძახდნენ ციყვები. — თანაც რაირგ ჭკვიანია!

— ვახ-ვახ, ნამდვილი მზეთუნახა-

ვია! — კვერს უკრავდნენ ჭაობის იხევი.

ირემი ყველაზე უფრო მაინც ბარტყებსა და მხეცუნებს უყვარდათ. როგორც კი თვალს მოჰკრავდნენ ბუდეებიდან თავგამოყოფილი ბარტყები. ერთხმად იწყებდნენ ჟიჯივს: წაგვიყვანე, წაგვიყვანეო! ირემი თავის ბარჯალა რქებს შეუშვებდა და ბარტყები მზიარული წრიბინით ჩამოსხდებოდნენ ხოლმე მის ტოტებზე. ქორბუდა ღლაპებს ტყეში დაასეირნებდა და თან ნაირ-ნაირ თავშესაქცევ ამბებს უყვებოდა. მათ სკუპ-სკუპით ბაჭიებიც აედევნებოდნენ, ციყუნები ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ და ისე მისდევდნენ. თვით ზარმაცი დათვის ბელიც კი გამობაჯბაჯდებოდა ირემის მოსასმენად. ირემი ჰყვებოდა, თუ როგორ გააცურა ბაჭიამ მელა. რა ფერისაა ქარი, სად ათევს ღამეს მზე... სადაც კი გაივლიდა ირემი, თავის პატარა მეგობრებთან ერთად, ყველგან ერთი ჟივილხივილი ატყდებოდა ხოლმე, ყველგან სიხარული მეფდებოდა. მხოლოდ ბებერი კოდალა თუ დაიწყებდა

ბუზღუნს: ნეტა რას დაეხეტებიან, საქმეს მომაცდენნო. კოდალა მთელი თავისი სიცოცხლე ხეზე აკაკუნებდა და მარტო საკუთარი ხმის მოსმენას მიეჩვია, ამიტომაც ვერ იტანდა სხვებს ლაპარაკსა და ხმაურს.

ირემი ზუზღუნას ყურადღებასაც არ აქცევდა. ხედავდა, თვითონ რა ძლიერ უყვარდათ ბარტყებსა და მხეცებს და ამირ ამაყობდა. იცოდა, რომ ყოველ დღით, მზის ამოსვლისას, ტყეში ყველანი მის გამოჩენას უცდიდნენ.

მაგრამ ერთხელ, როცა იგი ჩვეულებისამებრ დასეირნობდა ტყეში და თავის პატარა მეგობრებს თავშესაქცევი ამბებით ართობდა, მოულოდნელად წინ ტახი გადაუდგა. ჯაგარაშლილს თვალები ბოროტად შელავდა.

— უქნარავ! — უყვირა მან ირემს, — არა კმარა შენი უსაქმური წანწალი, რომ ახლა ჩვენი შვილებიც ავიყოლებია? ისინი უნდა ნადირობდნენ და სულაც არა სჭირდებოდათ შენი სულელური ზღაპრები! ვირჩევნია წაეთირო ჩიენი ტყიდან. სანამ სალსალამათი ხარ!

ტახმა თავისი გოჭი წინ გაიდგო. სხვა მხეცუნები შიშისაგან აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ირემთან მარტო ბარტყები დარჩნენ. ირემმა ისინი თავთავიანთ ბუდეებში დააბრუნა, ხოლო თვითონ მთელი დღე ნაღვლიან ფიქრებში გაატარა.

დღით კი. მზე რომ ამოვიდა, ირემი კვლავ გამოჩნდა ტყეში და, როგორც ყოველთვის, მხეცუნებისთვის მზიარული ამბების მოყოლას შეუდგა.

— შენ, როგორც გატყობ, სიცოცხლე მოგძულებია! — ქეჩო აიჯაგრა ტახმს.

და იმავე დღეს კაჭკაჭმა მთელ ტყეს მოსდო ახალი ამბავი: ტახისაგან შეგულიანებული კოდალა დათვს ეახლა და ყველაფერი ჩაუკაკლაო.

დათვი ზუნავიდან იშვიათად გამოდიოდა. მან ორი მგელი დაიბარა და უბრძანა: გასწით, საქმე გარჩიეთ და დამნაშავეს საკადრისი მიუზღეთო.

მგლებმა მაშინვე გაქუსლეს ტყეში, მონახეს ირემი და საქმის გარჩევას შეუდგნენ.

— რა ვუყოთ? — თქვა ერთმა მგელმა. — რომ შევჭამოთ, ორივეს არც გვეყოფა.

— ესეც არ იყოს, ავაზაკის სახელი დაგვივარდება! — დასძინა მეორემ ჩაფიქრებით.

— მაშინ, მეტი რა გზაა, უნდა ხე-
ლახლა აღეზარდოთ.

— გვიპასუხე, ირემო, რატომ და-
ეხეტები უსაქმურად? ბოლოს და
ბოლოს, ვინა ხარ შენ? — იკითხეს
მგლებმა.

— მე ირემი ვარ, თანაც ლამაზი, —
მიუგო ქორბუდამ, — ამიტომ ყვე-
ლას ვუყვარვარ. მინდა კიდევ უფრო
ლამაზი ვიყო...

— დახე, რა სდომებია! ყველა მხე-
ცი ლამაზია, როცა ნადირობს! შენც
უნდა ინადირო! სულაც არ არის აუ-
ცილებელი სხვებს უყვარდე! — შე-
ულრიხეს მგლებმა.

— კი მაგრამ, ნადირობა რომ არ
შემიძლია?! მე ხომ ირემი ვარ! ირემი
კი მარტო ლამაზი უნდა იყოს!

— შენ არაფერს არ აკეთებ და
იმიტომ ხარ ლამაზი! მაგრამ ჩვენ მო-
გამტვრევთ რქებს! — დაემუქრა ირემს
ერთი მგელი.

— ხომ არ აჯობებს. ქურქი დავუ-

თხუპნოთ? — თქვა მეორე მგელმა, —
მეტისმეტად უბზინაეს.

მგლებს ბევრი არ ულაპარაკნიათ,
მივარდნენ ირემს, მოამტვრიეს რქე-
ბი და ქურქიც დაუღაქავეს. ამით სა-
ქმე გათავებულად ჩათვალეს და იქა-
ურობას გაეცალნენ.

უსამართლოდ დასჯილი, პატივ-
აყრილი ირემი რომ დაინახა, ტახი
მხიარულად აღრუტუნდა:

— ხა-ხა-ხა! ერთი შეხედეთ და!
ნამდვილი საფრთხობელა არაა?! ხა-
ხა-ხა!

— ხა-ხა-ხა! — გაიხარა კოდალამაც.
— ახია მაგაზე, ახი!

თავჩაქინდრული ირემი მარტოკა
მიაბიჯებდა ტყეში, რადგან მხეცები
თავიანთ შვილებს არ უშვებდნენ მას-
თან. უცებ, ნაცნობი ხმები შემოესმა:
„წაგვიყვანე! წაგვიყვანე!“ — ჟივ-
ჟივებდნენ ბარტყები და ბუდიდან
პაწაწინა ფრთებს უქნევდნენ. გახა-
რებულმა ირემმა თავი აიღო. ბუდე
ძალიან მაღლა იყო, მაგრამ ირემმა
მაინც სცადა, როგორმე შესწვდენო-
და. ამ ცდაში კისერი სულ უფრო და
უფრო დაეჭიმა და გაეწეოა. ბოლოს,
როცა ბუდეს ასწვდა, გაახსენდა, რომ
თავზე უკვე აღარ ედგა მაღალი, გა-
ბარჯული რქები და ამიერიდან
ზედ ვეღარასოდეს დაისვამდა თავის
პატარა მეგობრებს, ვეღარასოდეს
მოუყვებოდა ნაირ-ნაირ ამბავს,
გრძნობდა, რომ წინანდელ ირემს
აღარა ჰგავდა.

ახლა უკვე ყველა მხეცი დასცინო-
და მას — უსამელოდ გრძელისე-
რასა და ყავისფერხალებიანს. ხეებიც
კი ტოტებს წკებლებივით სცემდნენ
ცხვირ-პირში. სასოწარკვეთილი ირე-
მი სამუდამოდ გადაიკარგა იმ ტყი-
დან. თავთავის საქმით გართულმა
მხეცებმა მალე დაივიწყეს იგი. მხო-
ლოდ ბარტყებს ახსოვდათ ირემი და,
როგორც კი ფრენაში გაიწაფნენ,
მთელ ქვეყანას მოედგნენ მის საძებ-
რად. და აი, გაზაფხულზე, შინ რომ
დაბრუნდნენ, მათმა მხიარულმა ჟი-
ვილ-ხივილმა იქაურობა აახშიანა:
ვნახეთ, ვნახეთ ჩვენი საყვარელი მე-
გობარიო.

— ცოცხალია! ცოცხალია! — ეღუ-
რტულებდნენ ერთნი.

— აფრიკაშია! აფრიკაში! — ჭიკ-
ჭიკებდნენ მეორენი.

და იმ დღიდან ყველამ ჟირაფი ანუ
აფრიკაში მცხოვრები შეარქვა უზო-
მოდ გრძელისეერასა და ხალებიან
ცხოველს, ხოლო ფრინველები მის
სანახავად ყოველ შემოდგომაზე აფ-
რიკისაკენ მიემუტრებიან.



ახალი წესი

ჩახჩახებს ყველა სახლი,
ბოლო ეღება ლოდინს,
ისარი თორმეტს ეძებს,
ახალი წელი მოდის.
ნაძვის ხე, მოკაზმული,
აღერსით თვალებს ნაბავს;
დგას და გვიღიმის ჩუმაღ
თეთრწვერა თოვლის პაპა.
ცის თალზე მოაფრქვეს
თითქოს ურიცხვი ვარდი...
არა, არ სძინავს მოვარეს,
ის გუშავივით დადის.
კვლავაც ილაღე, დღეო,
ახარე მთა და ველი,
უფრო აენტე, მზეო, —
მოდის ახალი წელი.

ნალი ლასკაელიძე.

ნაწიკვარი

ქ საოცნებო ლერჯი მთებია,
მარადისობას შერკინებია,
ქ ჩუხჩუხია მუდამ მდინარის,
ქ არის პაპას ნაწიკვილარი.

წისქვილი იყო თითქოს
ჯღაპარი,
მთრებზე მოისხა წლების
საფარი,
თითქოს იყო და არა იყო რა,
ტამთასვლამ ისიც თან გაიყოლა.

ქ ყველგან პაპას ნატერფალია,
იმ ნატერფალზე ბაღჩა-ბაღია,
ზოგან — ხეკაკლის,
ზოგან — ვაშლია,
ხეხილის ნერგი აკრავს არშიად.

ქ ყვაივლების დამდგარა ჯარი.
ქ ადგილია მზისა და მთვარის
აბა, ვინა თქვა,
ნაწიკვილართან
არ შედგეს წამით აშარი ქარიც.

შვილიშვილებმა პაპას
გაუშვეთ;
ჩვენ წინაპრების ვართ ხომ
საუნჯე,
მათში იწყება სიცოცხლის ფესვი,
ასეთი არის ჟამთაგვის წესი.
მათი სიცოცხლე მხოლოდ ბერდება
კი არა კვდება —
ჩვენით გრძელდება.

ქაოთხან მიქაძე.

ჭყის ბიჭი

ო, როგორ თეთრად შეიმოსნენ, რა გასპეტაკდნენ,
გაჭლარავდნენ მოხუცივით მთები ჯუთისა.
ვეღარ ეტევა მათს კალთებზე თოვლი ამდენი
და ხშირად ისმის ზვავთ გრიალი, ქშენა ბუქისა.

მიწყნარდა მათი სულისთქმა და ცემა გულისა,
მიიძინეს და წაიხურეს თოვლის ნაბადი,
ალარ ლაღობენ სხივები მზის ამომავლისა,
ალარ ჭრელობენ ყვავილებით მისნი კაბანი.

თეთრ წვერს უწეწავს და უვარცხნის მათ ცივი ქარი,
ხანდახან ძლიერ ქარტეხილად გადაიქცევა,
ღამე კი ცაზე დარჭობილი ნამგალა მთვარე,
ნათელს დაჰფენს და სითეთრეში ჩაიღვენთება.

ავთანდილ არაბული,
ყაზბეგის რაიონის, სოფ. ჭუთის
საშუალო სკოლის მოსწავლე

მ წ ყ მ ს ი

ბ ე შ ა ნ კ ი ვ ი ძ ი .
დაბა ვანი.



მოსწავლეთა
უკეთესობისათვის

ღებნი

კახეთის ზვრები იალეხს,
თუ ქართლის ვრცელი ბაღები,
მისი დროშები ფრიალებს
და მისი ბაირაღები.

მთით დასხლეთილი ჩანჩქერის
აელვარება ალაღებს
და სიხარულით დასცქერის
სიმაღლეს ჩვენგან ანაღებს.

დღე დღეს მიჰყვება, წელს—წელი,
და სიხარული ახლდება;
მუდამ ცოცხალი, მზეგრძელი,
ღებნი უფრო მაღლდება.

მ. ბურჯალიანი.

ცაგერის რაიონის ორბელის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.





კომკავშირელი

ოთარ კიკვიძე,
დაბა ვანი, კიროვის სახელობის
საშუალო სკოლის VIII კლასი.

ს ა გ ს ა ვ ი ა ჯ თ ი ღ ი ღ ი ს ა

დიდი ჭანჭლარის შემდეგ, როგორც იქნა, გამაღვიძეს. ფანჯრიდან გავიხედე. ამ სისხამ დილით რა ამაყუნებს მე-
თქი, — მივდე ისევ თავი და ძილი მივიბრუნე. რა ვქნა,
დილის ძილი მიყვარს! მაგრამ, შენც არ მომიკვდე; ვინ
დამაძინა? თავზე მამაჩემი წამომაღვა.

— ადექი. — მითხრა მან.

— რატომ? — წავიტიქუნე მე.

— წადი, უნას მიხედე, საქონელი არ შევიდეს. —
მამა მეორე ოთახში გავიდა. მალე ისევ შემობრუნდა და
დამიტია:

— არ ამდგარხარ?

მე წავიბუზღუნე, მაგრამ ბუზღუნე საქმეს რომ შევ-
ლოდეს, ქვეუანაზე მობუზღუნენი არ დაილეოდნენ.

მეტი რა ჩარა იყო, ავდექი, ჩემი ძმის შარვალ-მაისუ-
რი ჩავიცვი და ფეხაკრფით ჩავირბინე კიბე, უცებ გელამ
არ დამინახოს და არ გამხადოს-მეთქი!

ცოტა ხნის შემდეგ მთქნარებით შარავჯას გავუყევი.
პირს იმოდენაზე ვაღებდი, ვინმეს ვაშლი რომ გამოეს-
როლა, გოლივით გაიტანდა.

— გამარჯობა, მანანა! — მომესალმა ჩვენი მეზობ-
ლის გოგო.

ავშენდი და ეგ არის!

— უჰ! დიდი ამბავი შენი გამარ.

ჯობა! — პასუხი არ დავუგვიანე.

აი, ესეც ზრდილი ადამიანი!

— საით მიტკეპნი ამ დილაადრიან
გუას? — ხუმრობითვე მეკითხება
ჩემი მეზობელი.

— გაღმა კანფეტებს არიგებენ!

— მერე, ეს ამოდენა სახრე კანფე-
ტების გამოსარკვად ხომ არ მი-
გაქვს? — ხარხარებს ის.

— როგორ გეკადრებათ, ეს სახრე
შენისთანა უქნარების ზურგის ასაქ-
რელებლად უფრო გამომადგება-
მეთქი.

— ჰაიტ, დამიდექიო!

მე ფაცხაფუცხით მივეშურები
უანისაკენ, ვინ იცის კამჩეები კიდეც
გადავიდნენ ნათესაში.

როგორც იქნა, გავცდი უქანას-
კნელ მოსახლეს, მდინარე გავტოპე
და დავუდექი უნას სადარაჯოდ.

მომწყინდა ჭარისკაცივით სმენაზე დგომა. ცოტა გა-
ვიარ-გამოვიარე.

არ ვიცი, რატომ მივიხედე მდინარისაკენ, ისე კი, რომ
არ მიმეხედა, ათასწილად მიჯობდა. ჰოდა, მივიხედე და
შიშისაგან კინალამ გული მუცელში ჩამივარდა. ჩემსკენ
საზარელი ცხოველი მოცურავდა, რომელსაც ასამდე მო-
ვერცხლისფერო-მოშავო-მომწვანო თავი ჰქონდა. თვა-
ლები, როგორც მეგრელები იტყვიან, „კაცია — გორღი-
ვით“* გადმოვკარკლე. ეგება უკეთესად დავინახო-მეთქი,
მაგრამ რას დავინახავდი, როცა შიშისაგან თვალთ მიბ-
ნელდებოდა.

გაქცევა მოვინდომე, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ
ადგილზევე გამაქვავა.

მხატვარს რომ დაენახა ჩემი მოღრეცილი კისერი, ჩა-
საკეცად გამზადებული ფეხები, დაჭყეტილი თვალები და
შიშისაგან დაღრეჯილი სახე. — შედევრს შექმნიდა!

ასე ვიდექი ცოტა ხანს გახევებული. ბოლოს, გამო-
ვერკვიე, ვიფიქრე, რვაფეხა იქნება-მეთქი. მივედი. ჩემს
„რვაფეხას“, ფეხი კი არა, საცეცებიც არა ჰქონდა.

სირცხვილისაგან გავწითლდი. ჩემს წინ, ქვებს შუა,
ტლაპოში ამოსვრილი მწვანე ტოტი გახიბულიყო.

ვაი, სირცხვილო! მეგონა დევებს მოვერეოდი და
უბრალო ტოტმა კი ერთი სიცოცხლე გამათავებინა! ში-
ნისაკენ გავსწიე, რომ შიშნაქამს, საქმელიც მეჭამა! კი-
დეც კარგი, ახლომახლო არავინ იყო, თორემ, ჩემი კლა-
სელების ყბაში მტერი ჩავარდა!

მანანა შენგელია,
გალის რაიონი, სოფ. ოტობაია.

* გომბეშო.



ქაქა

ბოროლას უყვარს თავისი დედა და მისკენ გარბის კუდაპრენილი, ბაჭიას უყვარს თავისი დედა, მის მოსვლას ელის ყურდაცქვეტილი;

ფისოსაც უყვარს თავისი დედა, ჩუმი კრუტუნით ეალერსება; ნუკრსაც ხომ უყვარს დედა თავისი და სიყვარულით გული ევსება.

მართვესაც უყვარს თავისი დედა და მუდამ ცდილობს მის გახარებას, მაგრამ არავის, არავის დედა ჩემზე ძალიან არ უყვარება!

„პარ მიმასწავლი კუდიპრენის ბზას?“

ლევან ლასარაიშვილი,
თბილისის 58-ე საშუალო
სკოლის III კლასი.

ნიკო ჭუმბურიძე,
თბილისის ექსპერიმენტული
სკოლის IV კლასის მოსწავლე.

კაკაეც ჩივიც

— დედიკო. მუცელი მტკივა. —
უთხრა ექვსი წლის ნელიმ დედას.

— ეს იმიტომ. რომ არ გისაუზმია და კუჭი ცარიელი გაქვს. გაცილებით უკეთ იგრძნობდი თავს, რაიმე რომ გქონდეს შიგ.

იმ საღამოს ნელის დედას სტუმარი ეწვია. მან თქვა, მთელი დღე საშინელი თავის ტკივილით ვიტანჯებო.

— ეს იმიტომ, რომ თავი ცარიელი გაქვთ. თქვენ გაცილებით უკეთ იგრძნობდით თავს, რაიმე რომ გქონდეთ შიგ. — უთხრა ნელიმ.

— მითხარი, გეთაყვა, ცუდია, როცა შვიი კატა უკან მოგდევს?

— ეგ იმაზეა დამოკიდებული, კაცი ხარ თუ თავგი.

კაკაეც ჩივიც

ერთი კაცი ქალაქში სეირნობდა. მკლავზე მოსასხამი გადაეკიდნა. მკლავი რომ დაეღალა, მოსასხამი ღობეზე დაკიდა, ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო და დააწერა: „ნუ შეეხებით. ყვავილით დასნებოვნებულია“. ორი საათის შემდეგ უკან დაბრუნდა, მაგრამ მოსასხამის ადგილას მხოლოდ ქალაღლის ფურცელი დახვდა. კაცმა ქალაღლი გაშალა და წაიკითხა: „გმადლობთ მოსასხამისათვის. ყვავილი მოხდილი მაქვს“.

ნიგლისურიდან თარგმნა
მანანა ბელაშვილმა,
თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო
სკოლის VIII კლასის მოსწავლე.


სწუხან ხეჭი

პატარა ბავშვი ხატავდა სურათს: ლენინი იდგა დროშების ტყეში, თვალები ჰქონდა ღიმილით სავსე და ოქტომბრის მზე ეჭირა ხელში.

ხაყკა სურიალ

ყვითელ სამოსში გახვეულა მთელი მთაბარი, ნისლეების ჩიბუხს აბოლებენ ხშირად ხევები; შემოდგომის მზე დააბიჯებს თეთრქუდა მთებზე და ფოთოლცვენის მოლოდინში სწუხან ხეები...

ნათელა სალამე,
ზესტაფონის რაიონის, დილიკაურის
საშუალო სკოლის მოსწავლე.



ბია გუგუშვილი
11 წლის. თბილისის პიონერთა
სახსლის ქანდაკების წრის წევრი.

ი ა ზ ა რ ჯ ი



ზ. გოლიბაძე.
თბილისის 61-ე
საშუალო სკოლის
მოსწავლე.

გ ა ზ რ ა ნ ი ს წ ი ნ

ამირან ცაია.
დაბა ვანი.

უზუსტესი



მეზობელმა ძაღლის ლეკვი მაჩუქა. სახელად მურა დავარქვი. გაიზარდა, კარგი ძაღლი დადგა, ჭიშკარს არ შორდებოდა, ღამე სულ არ ეძინა, დღე კი შუა ჭიშკარში იწვა და ფხიზლად ეძინა. ეზოში ჩვენი ოჯახის წევრების მეთს არავის უშვებდა. ხსვის მიგდებულ პურს პირს არ აკარებდა. ერთ დღით მურა მოწყენილი ვნახე. თვალზე ცრემლი შევამჩნიე: საბძელთან მიწოლილიყო. პური მივუტანე, არა ჭამა. მივხვდი ვიღაცამ მიმტრო, მურამ სხვისი მიგდებული პური ჭამა. მოწამლული იყო. მაშინვე გავიქეცი, თხა გამოვწველე და რძე მივუტანე, ცოტა შესვლია. სამ დღეს რძეს ვასმევდი. ჩემს მეტმა არავინ იცოდა მურას შეცდომა. მეოთხე დღეს მურა ადგა, მაღლიერი თვალებით გადმომხედა და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

თხის გამოწვევით ბებიი გავანაწყენე, მაგრამ მურა გადავარჩინე.

თ. გულორღაბა,
თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლე.



კომუნალური
მედიცინა

ქალაქი შტრალზუნდი

წლიდანდღამს ჯაფხულმა დიდნი სიხარული მოუტანა თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს ქათეძე ვან კინწუშა შვილს. ქათეძე ვანმა „აიონისკაია პრავდასა“ და ზერმანელ პიონერ-ბელგანელისგან გაუთ „დი ბრომელის“ მიერ გამოცხადებულ ვიქტორინაში განიბარჯვა, რისთვისაც ზერმანელის დამოკრებიული რესპუბლიკის პიონერთა ინტერნაციონალური განაკის საბჭურით დაჯილდოვდა. ქათეძე ვანმა გოგონამ, ვიქტორინაში გამარჯვებულ სხვა საბავთა თანატოლებთან

ერთად, რამდენიმე კვირა დაჯარო კურორტ პრემიუმის „კიმ იმ ზეინის“ ბანაკში. ამ ხნის განმავლობაში მან მრავალი ჰმეუნიესა და ეროვნების წარმომადგენელი განიცნო, დაუშვებობრდა მათ, დაათვალიერა ბერლინისა და გდრ-ს სხვა ქალაქების ღირსშესანიშნავი ადგილები. თვითნაშუი დაუპიწყარი დღის უთავაბმულიებას ქათეძე ვანი თავის დღიურებში აცოცხლებდა.

შთავაჯობთ რამდენიმე ამონაწერს ამ დღიურებშიდან.

მეუღლისა და მეუღლე

11 ივლისი. დილაადრიან გამოგვადვიდა ჩურჩულმა: «Не шуми!», «Подожди!», «Как начать?», «Ну, Толя, давай!». ეს ჩვენი ბიჭები დავობდნენ პალატის კარებთან. ჩვენ, გოგონები, ვერ მივხვდით ვერაფერს. უცბათ მათ სიმღერა დაიწყეს. ისინი გვიმღეროდნენ უკრაინულ სახუმარო სიმღერას — „შენ მე მომატყუე“. სასწრაფოდ ჩავიცვიით და გარეთ გამოვედით. აქ ბიჭები საჩუქრებით გველოდებოდნენ. საქმე ის არის, რომ დღეს ბანაკში გოგონების დღე იყო. ყველაფერს ბიჭები აკეთებდნენ. ჩვენ კი მხოლოდ სურვილებს გმოვთქვამდით. ბიჭებმა გააწყეს სუფრა სასადილოში, გვაწოდებდნენ საქ-


მელს, დარეცხეს ჭურჭელი. თავიანთი პიონერული ხალათებიც კი თვითონ გაირეცხეს. დიდხანს იწვალეს და იბურდლუნეს. ჩვენ ვიცინოდით. მაგრამ ბიჭების დაწითლებული ხელები რომ ვნახეთ, შეგვეცოდნენ. სალამოს ყავაზე მიგვიწვიეს. გოგონები ვცეკვავდით, ვმზიარულობდით, ბიჭებს კი ყავა და ნამცხვრები მოჰქონდათ. ქვებანაკის ცენტრში, დროშის წინ, ბიჭების ხელით გაკეთებული „ხე“ იდგა, რომელზეც ქაღალდის გულები ეკიდა. გულებზე ოქროსფერი საღებავით ჩვენი სახელები ეწერა. სალამოს გოგონებმა ჩვენ-ჩვენი „საკუთარი გული“ ჩამოვწყვიტეთ „ხეს“ და სახსოვრად შევიინახეთ.

დღეს გოგონებმა კარგი დრო გაატარეთ. ძალიან ნასიამოვნები ვართ. დიდი მადლობა ჩვენს ბიჭებს!

13. ივლისი. დღეს ჩამოვედით შტრალზუნდში. ოჯახებში გაგვანაწილეს. მე მარინა რიხტერის ოჯახში ვიცხოვრებ. მე და მარინა მეგობრები ვართ. იგი ბანაკში ისვენებს. ძალიან კარგი მშობლები ჰყავს. მარინას სახლის სადარბაზოსთან ერთი რამ შევამჩნიე — კედელზე იმდენი ელექტროზარის ღილაკია მიმავრებული, რამდენი ოჯახიც ცხოვრობს სადარბაზოში. დააჭერ იმ ღილაკს, ვისთანაც გსურს ასვლა. თუ ბინაში ვინმე არის, იგი ღილაკის დჭერით აღებს სადარბაზოს კარს. ამას-

თან მასპინძელს დრო აქვს მოემზადოს სტუმრის მისაღებად. ასე ყოფილა აქ ყველა სახლში.

ყველამ ერთად ვისადილეთ რესტორანში. შემდეგ მარინას დედამამ გემზე წაგვიყვანა სასეირნოდ.



17. ივლისი. დროზე ადრე, ავდექით. დღეს საბჭოთა კავშირის დღეა და ჩვენ ვართ მასპინძლები. ათის ნახევარზე მუშაობა დაიწყო პრესკონფერენციამ.

პირველი დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვებანაკში მოვიდა, დასავლეთ გერმანიის პიონერებისა იყო. ამ დელეგაციის ხელმძღვანელმა საზეიმოდ

გაჭრა წითელი ლენტის და ჩვენმა გამოფენამ მუშაობა დაიწყო.

სტუმრები პირველ სტენდთან მივიდნენ. საშა პუტევიჩმა, ჩვენი რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ, ბევრი რამ უამბო მათ საბჭოთა კავშირის შესახებ. გერმანელებმა მეორე სტენდთან გადაინაცვლეს. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მარინა სვერდლოვიჩი ესაუბრა. შემდეგ ჯერი გალია პიმკოვაზე მიდგა. იგი ჩვენს პიონერულ ცხოვრებაზე მოუყვა. შემდეგ „სპორტი“, „საბჭოთა კინოხელოვნება“, „ბავშვები და მუსიკა“, და... გერმანელი პიონერები ჩემთან მოვიდნენ. მე მათთვის საბჭოთა კოსმონავტების საგმირო საქმეების შესახებ უნდა მომეთხრო. ვლელავდი... შეშინოდა არაფერი გამომჩენოდა, მაგრამ როგორც შემდეგ მეგობრებმა მითხრეს, ჩემი მოვალეობისათვის კარგად გამირთმევი თავი.

კარებთან პატარა მაგიდა იდგა, რომლის გარშემო მოსკოველი ოლია ვოლკოვა და ტაჯიკი აკბარ აბდულაევი ფუსფუსებდნენ. ისინი ამზადებდნენ წიგნს, რომელშიც თვითუღი დელეგაციის ხელმძღვანელს თავისი შთაბეჭდილება უნდა ჩაეწერა.



აი, უკვე ჩაიწერა პირველი შთაბეჭდილება: გერმანელ პიონერთა დელეგაცია ძალზე კმაყოფილიაო. ძალიან გაგვიხარდა. შემდეგ პოლონელ თანატოლთა დელეგაცია გვესტუმრა. მე მათ ეპიდისკოპით ვაჩვენე ფერადი დიაპოზიტევიები საქართველოს შესახებ. ჩემი სამშობლოს ლამაზი ბუნება, თბილისის, მცხეთის ხედებო ძალიან მოეწონათ. შემდეგ ერთმანეთს ცვლიდნენ ფრანგები, იტალიელები, ნორვეგიელები, დანიელები, უნგრელები, ფინელები, ბულგარელები... ყველანი აღფრთოვანების სიტყვებს



ჩვენი
რაზმი
ბრეკცოვ-
პარკში.



მეოთხედიანი მემორიული ფოტო



მშობლებთან დასავლეთი გერმანულ პიონერებს

ტოვებდნენ წიგნში. დღეგაცემების წარმომადგენლებს პრესკონფერენციაზე იწვევდნენ. ჩვენ კი ერთი წუთი დრო არ გვრჩებოდა — გაუთავებლად ვყვებოდით, ვბასუხობდით კითხვებზე... ჩვენი მთარგმნელი მანფრედოც ძალიან დაილალა.

სალამოს კონცერტი გავმართეთ, ვიმღერეთ, ვიცეკვეთ... კონცერტის შემდეგ ვიქტორინა იყო — „იციან თუ არა საბჭოთა კავშირს?“ და კონკურსი საბჭოთა სიმღერის საუკეთესო

სოდ შესრულებაზე. კონკურსის უიჯრში მეც ვიყავი. განსაკუთრებით მოგვეწონა ფინელების გამოსვლა. ტეივომ „მოსკოვის ფანჯრები“ შესარულა, თენპომ კი სიმღერა „ტანიუშა“ დაუკრა აკორდეონზე. დღეს თენპოს 16 წელი შეუსრულდა. მივულოცეთ დაბადების დღე და სახსოვრად უკრაინული პერანგი გადავეცით. ტეივოს ბალაღიკა ვაჩუქეთ. ჯილოები ყველა მონაწილემ მიიღო.

სალამოს ყველანი საერთო პიონერ-

რულ ხაზთან მივიწვიეთ და ჩვენი ცეკვები და თამაშები შევასწავლეთ.

სიხარულს ვერ ვფარავდით, „ჩვენმა დღემ“ რომ ასე კარგად ჩაიარა. ყველანი, სტუმრებიცა და მასპინძლებიც, ნასიამოვნები დავრჩით.

18 ივლისი. დღეს ვიეტნამთან სოლიდარობის დღე იყო და ჩვენი ბანაკის დროშა ვიეტნამელთა პატივსაცემად ფრიალებდა.

ვიეტნამელები დილაღრიანად გვესტუმრნენ და პიონერულ ხაზზე ჩვენთან ერთად ისინიც მოეწყვენ. შემდეგ პალატაში შევიპატიეთ ვიეტნამელი გოგონები. ისინი თურმე აქ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პრაქტიკაზე არიან ჩამოსულნი. ჩვენი თხოვნით რამდენიმე ვიეტნამური სიმღერა შეასრულეს. ჩვენც ვიმღერეთ, შემდეგ გავასეირნეთ, დავათვალიერებინეთ ჩვენი გამოფენა, ბანაკი, გადავიღეთ ფოტოსურათები...

ნასადილევს დემონსტრაცია მოეწყო, რომლისთვისაც ჩვენ ჯერ კიდევ ადრე ვემზადებოდით: ვხატავდით პლაკატებს, ვწერდით ლოზუნგებს. პლაკატები ხელში დავიკავეთ და პრეროვისაკენ გავწიეთ. „ვიეტნამი გაიმარჯვებს!“, „თავისუფლება ვიეტნამს!“ — ასეთი ლოზუნგებით დავდიოდით პრეროვის ქუჩებში.

22. ივლისი. ამ საღამოს ჩვენ და ბანაკის ხელმძღვანელები სტუმრად მივიწვიეთ ფინელმა პიონერებმა. ვიმღერეთ ფინური სიმღერები. მასპინძლებმა მხიარული პანტომიმა წარმოადგინეს. ბევრი ვიცინეთ. საერთოდ, ფინელი პიონერები ძალიან მეგობრულნი და ხალისიანი არიან. ამასთან ისინი მთელ ბანაკში გამოიჩინეს სისუფთავისა და წესრიგის სიყვარულით. მათს პალატაში ყველაფერი ადგილზეა, კედლები „მეგობრობის ყვავილებით“ არის დამშვენებული. მეტად კოხტა და მოხერხებულია ფინელთა პიონერული ფორმა. აცვიათ ბაცი ხაკისფერი, ოღნავ უხეში, გრილი ქსოვილისაგან შეკერილი პერანგები; ქვედა წელი და მოკლე შარვალი ყავისფერია. ამ ფორმის მთავარი ღირსება ის არის, რომ მალე არ ისვრება და ხშირად არ ხდება გასარეცხი.



სისხლის შოტლანდიური ნაგაზის — ლასის ნაზ მეგობრობაზე მოგვითხრობს. ჯოს ხელმოკლე ოჯახი ნაგაზს გაჰყიდის. ახალ პატრონს იგი შორს, შოტლანდიაში მიჰყავს. ერთგული, მოსიყვარულე ლასი მეგობრისაგან განშორებას ვერ იტანს და აი, საკუთარ ალღოზე დაყრდნობილი ასეულ მილს ფეხით გაივლის და კვლავ ჯოს დაუბრუნდება.

ბივი სამსონაჰი

შკითანი ბუკთი

რომელ თქვენგანს არ უნახავს ბადმინტონის თამაში, მაგრამ ალბათ ყველამ როდი იცის, რომ ამ თამაშობას ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იაპონელები „ობანეს“ უწოდებდნენ და კარგადაც იცოდნენ მისი წესები. თუმცა ბადმინტონი სულ პირველად ინდოეთში ითამაშეს, ევროპაშიც სწორედ ინდოეთიდან შემოვიდა.

საბჭოთა კავშირში ეს თამაში პირველად ჩვენმა თანამემამულემ — ცნობილმა ილუზიონისტმა დიკი ჩიტაშვილმა შემოიტანა.


თუ გსურს შეისწავლო ბადმინტონის თამაში და გაიგო მისი წარმოშობის ამბავი, წაიკითხე ეს წიგნი.

გენალი გორი

თიხის პაპუასი

გამომცემლობა „ნაკადული“ კიდევ ერთ საინტერესო ფანტასტიკურ მოთხრობას სთავაზობს ნორჩ მკითხველს.

წიგნში აღწერილია ერთი ბიჭუნას ამბავი. ეს ბიჭუნა ვარსკვლავთსამყაროში დაიბადა და თავისი ბავშვობა კოსმოსურ ხომალდზე გაატარა. ხომალდი უცნობი პლანეტისაკენ — დედამიწისაკენ მიექანებოდა. თუ გაინტერესებთ



რა გადახდა მას დედამიწაზე. წაიკითხეთ გენალი გორის წიგნი „თიხის პაპუასი“.

მერიკ ნაბიტი

ღასი შინ ბკუნდვა

ეს წიგნი ინგლისელი ბიჭუნას ჯოს და წმინდა

კამოხენი ადამიანთა უცნაური ოჯახი

ბევრი გამოჩენილი ადამიანი თავისი უცნაურობითაც გამოირჩეოდა. ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელზე ამბობდნენ, რომ მისი უცნაურობები უფრო ცნობილია, ვიდრე ლამობები.

ცნობილია, რომ ერთ-ერთი უდიდესი ფრანგი მწერალი პრუსკი პერიმე არავის უნახავს გაცინებული. უზადო მანერებისა და მოხდენილი გარეგნობის მქონე მერიმე ბრწყინვალე მოსაუბრეც იყო. მაგრამ თვით მაშინაც კი, როცა ყველაზე სასაცილო ამბავს ჰყვებოდა,

ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს იხვეწებოდა: ღვთის გულისთვის, ერთი ჭიქა წყალი დამალევინეთო. მერიმე ირწმუნებოდა, ჩემს ნაწარმოებებს მხოლოდ მოცილილობის გამო ვწერო; „სტუმრების მოლოდინში რომელიმე ბალადას ვთხზავდიო“, — ამბობდა.

სულ სხვა გვარად ჰქმნიდა თავის რომანებს გუსტავ ფლობერი. იგი თავის, მიერ წარმოსახულ გმირებთან ერთად კვნესოდა, მათთან ერთად იცინოდა, ან კიდევ, ფართო ნაბიჯებით დადიოდა კაბინეტში და

ხმამალა იმეორებდა სიტყვებს. ემა ბოვარის თვითმკვლელობის ამბავს რომ წერდა, ფლობერი ჩიოდა, პირში დარიშხანის გემოსა ვგრძნობო.

ამბობენ, რომ ამერიკელი მწერალი ო' გენრი, სანამ საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, გულმოდგინედ კეტავდა ოთახის კარს. თუმცა ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. სახელგანთქმულმა მწერალმა თავისი მოღვაწეობა ხომ ქალაქ კოლუმბის (ოგაიოს შტატი) საპატიმროში დაიწყო, როცა იგი № 34.627 პატიმრად ითვლებოდა.

თორე ბალზაკის უცნაურობებზე ჯერ კიდევ ამ უდიდესი მწერლის სიცოცხლეშივე ლაპარაკობდნენ. როცა ახალ ნაწარმოებზე მუშაობას იწყებდა, ბალზაკი ერთი-ორი თვით ჩაიკეტებოდა ოთახში და მჭიდროდ ხურავდა დარა-

ბებს, რომ სინათლე არ შემოპარულიყო. წერდა სანთლების შუქზე, ხალათმოსხვეული. ბალზაკი ყოველდღიურად 18 საათს მუშაობდა და ამ დროს მისთვის არც დღე არსებობდა და არც ღამე.

დიდი ინგლისელი დრამატურგი ბერნარდ შოუ, უკვე ხანდაზმული, ჩაიცვამდა ხოლმე რეზინის წაღებს, პალტოს ყველა დილს შეიკრავდა და თავის ჯალაბობას გამოუცხადებდა: პიესის საწერად მივდივარო, და — გაეშურებოდა... ბაზრისკენ, სადაც გაცხოველებული ფუსფუსი იდგა. იქ მას ხშირად ნახავდით უბის წიგნაკით ხელში. თითქოს ეშინოდა, ახალი ჩანაფიქრი არ გამიფრინდესო, შოუ, ეტილის თვალების ხმაურში, გამალებით წერდა.

ამერიკელ მწერალ ედგარ პოს შეეძლო საათობით მჯდარიყო საწერ მაგიდასთან და მდუმარედ ეცქირა მის წინ დადებული სუფთა ქაღალდისათვის.

დიდი ფრანგი მწერალი და მოაზროვნე ვოლტერი ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოებზე მუშაობდა ხოლმე. ეს ნაწარმოებები პიუპიტრზე ან მაგიდაზე ეწყო. სამუშაო მაგიდას რომ მიუჯდებოდა, ვოლტერმა წინასწარ არასოდეს არ იცოდა რას დაწერდა — ტრაგედიას, რომანს თუ პოემას. იგი გუნებისდა მიხედვით იღებდა ხელნაწერს და მასზე მუშაობას განაგრძობდა.

უდიდესმა ავსტრიელმა კომპოზიტორმა ფრანც შუბერტმა, რომელმაც მხოლოდ 31 წელი იცოცხლა, უზარმაზარი მუსიკალური შემოქმედებები დატოვა — 20 ოპერა და 600-მდე სიმღერა. შუბერტს ჩვეულებად ჰქონდა, თავისი ყველაზე საყვარელი ნაწარმოებები, სანამ გამოაქვეყნებდა, აუცილებლად დაეკრათ... სავარცხელზე.

ალექსანდრე დიუმა (მამა) მხოლოდ განსაკუთრებულ კვადრატულ ფურცლებზე წერდა. ასეთი ფურცლები თუ გამოეყოფოდა, მწერალი მუშაობას წყვეტდა.



მისი ჯანმრთელობა
ეპოს არ იწვამს

ოთხმოცდათხუთმეტი წლის ამერიკელ ჯორჯ შუსტერს, რომელმაც ავტობოლაში ნიუ-იორკის დიდი პრიზი მოიპოვა, გადაეცა პრემია — 1000 დოლარი. ვერაფერს ვერ იტყვი, ჭეშმარიტად საკვირველი მიღწევაა! მით უმეტეს, თუ გავითვა-



ლისწინებთ, რომ ავტობოლაში შეჯიბრი მან მოიგო... 1908 წელს. იმუამად პრემია არ გაცემულა, რადგან შუსტერს სტარტის აღებაზე საექიმო შემოწმება არ გავიწყო და ჯანმრთელობის შესახებ ცნობა არ წარედგინა. „ჩვენ შესაძლებელად ვცადეთ მისტერ შუსტერისათვის პრემიის მიცემა, ვინაიდან ამუამად, ბოლოს და ბოლოს, მისი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ ყველა ექვი გაქარწყულა“, — განაცხადა მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარემ, რიგით ოცდამეექვსმეტე მას შემდეგ, რაც დიდი პრიზი გათამაშდა.

სამასი წლის
ძინების შემდეგ

ჭერ კიდევ შუა საუკუნეების ალქიმეოსები ცდილობდნენ მიეღოთ ერთი შეხედვით უბრალო რამ — ელქათინის მდგრადი ხსნარი (ელქათინი ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერებაა). მისი მიღება ჩვენს დროშიც კი ვერ მოახერხეს აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების ფირმებმა.

სამაგიეროდ, იგი აღმოაჩინეს მალაიურეთში. მა ქალიშვილმა ზდრაჯვა პეტროვამ, თანაც — აღმოაჩინა სამუშაოდან თავისუფალ დროს, თავისი ნაირ-ნაირი ნელსაცხებლებით სავსე ტულეტის მაგიდაზე. ასეთი ხსნარის მდგრადობის რეკორდი — 30 წუთი — ათმაგად იქნა გადაჭარბებული.

ფრანგულმა ფირმებმა პეტროვას 40 ათასი დოლარი შესთავაზეს მის მიერ მიღებული ხსნარის ორ წევთში. პეტროვამ უარი უთხრა. მან თავისი რესპუბლიკის პატენტი მიიღო ამ მეტად მნიშვნელოვანი გამოგონების გამო.

ელქათინის მდგრადი ხსნარი სჭირდება ბევრ სპეციალურ ლაბორატორიას და პოლიგრაფიულ კომბინატს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, რომლებიც უშვებენ ფოტოქაღალდსა და ფოტოფირებს, ხელოვნურ ტყავსა და კვების პროდუქტების სხვადასხვა სახეობას.

შუქი — მადის აღმძვრელი


დრეზდენის ექიმთა ჯგუფმა დაამტკიცა, რომ აღმანს მწვანე შუქი შესამჩნევად უდიდებს მადს.

პირველი პრაქტიკული ექსპერიმენტი, რომელმაც ამ აზრის სისწორე დაადასტურა, მოსწავლეთა ჯგუფზე მოახდინეს. ასევე დადებითი შედეგი მიიღეს საბავშვო ბავის ასაკის ბავშვებთან ჩატარებული ცდის დროს.

გერმანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მწვანე ფერის ნათურები დადებითად მოქმედებს მოზრდილი აღმანის ორგანიზმზეც. ეს ნათურები მადსაც უდიდებენ აღმანს და ნერვულ სისტემასაც აშვილებს.

პრობლემის
გადაწყვეტა.

სტოკჰოლმის მაგისტრატში შემოვიდა წინადადება იმის თაობაზე, რომ შეიზღუდოს ქუჩაში კერძო ავტობრანსპორტის მოძრაობა. წინადადების ავტორები ამ რთულ პრობლემას ძალზე იოლად სწყვეტენ. ლუწ რიცხვებში, ქუჩაში მოძრაობის ნება მხოლოდ ლუწი ნომრის მქონე მანქანებს უნდა დაერთოს. კენტ რიცხვებში კი — კენტ ნომრების. ასე და ამგვარად, აზუსტებენ ისინი თავიანთ წინადადებას — ორჯერ შემცირდება მოძრაობა, ამდენჯერვე — უბედური შემთხვევების რიცხვი, ხოლო ავტომანქანების



მფლობელები მანქანაში გამოდმებული კლო-
მით მოთენილ სხეულს, დღეგამოშვებით
ფეხით სიარულით გამოაცოცხლებენო.

შუასასაშუაუნების
აკვალანგისტი

წყალქვეშ ცურვა სპორტის ახალ სახეობად
ივლიდა. მაგრამ თურმე წარსულშიც ცდი-
ლობდა ადამიანი „ციხფერი კონტინენტის“
საიდუმლოებაში ჩახედვას. ამას წინათ ის-
ტორიკოსებმა აღმოაჩინეს წყალქვეშ საცუ-
რაო აღჭურვილობის ნახაზები. იგი იტალი-



ელ მეცნიერს, ბორდის. ჰერ კიდევ XVII
საუკუნის შუა წლებში შეუქმნია. აქ ლას-
ტებიცაა ფეხებისათვის. სასუნთქი მილიც და
რომელიღაც ცხოველის ტყავისაგან დამზა-
დებული „აკვალანგიც“.

მთამსვლელებს შეიღება

ნოტიო ჰავის გამო ლენინგრადის სატე-
ლევიზიო კოშკზე სადგავი გაიცრია და
არასაიამოვნო. ჭუჭყსებური ფერი მიიღო.
საჭირო გახდა კოშკის ხელახლა შეღებვა.
მაგრამ ამ კოშკის სიმაღლე 318 მეტრია და,
აბა, რომელი მღებავი მოისურვებს ზედ
ღრუბლებთან მუშაობას? ეს საქმე იკისრეს
მთამსვლელებმა: ექიმმა, ინსტიტუტის მას-
წავლებელმა და სამმა მხატვარმა. მათ კოშკი
რეკორდულ დროში შეღებეს.

თევზები —

ციცხლის წამკიდებლები

აკვარიუმის ბინადარი წითელი თევზები-
სთვის საჭმლის მიცემა აქამდე უწყინარ საქ-
მედ ითვლებოდა. ახალა კი შოტლანდიის
ქალაქ დანდის მებანძრები ამტყიცებენ, რომ
ამ თევზებმა... ხანძარი გააჩინეს.

ქამის დროს რამდენიმე წითელი თევზი
აკვარიუმის გამჭვირვალე კედლიდან შეგუ-
ფდა. ბრჭყვიალა ქერცლმა მშის სხივები აი-
რეკლა და ამ ლინზიდან ფარდას ცეცხლი
წაეკიდა.





გეჟნება და მიყრილ-მო-
ყრილ ლითონისპირიან
ხელსაწყოებსაც აღარ
წაუხდება პირი




გამოცდილობა ტურის-
ტებმა კარგად იციან,
რომ ლითონის მათარა
თუ ჩაიჭეჭუა, მისი გას-
წორება არ არის ძნელი.
ჭურჭელი სანახევროდ
წყლით გაავსე, თავი მჭი-
დროდ დაახურე. მათარა
ციცხლზე შედგი. წყალი
ადუღდება. ჩაჭეჭილი ად-
გილი ორთქლის ძალით
შვკალოდ გაქრება და მა-
თარა გასწორდება.

ხრახნი თუ გაჯიუტდა
და ქანჩს არ დაემორჩი-
ლა, ადექი და ქანჩის
კბილს მეორე ქანჩი გა-
მოსდე.




ციცხლზე განახურები
ორი შაურჩიანი. გამოც-
დილი ადამიანის ხელში,
იოლად იქცევა პინცე-
ტად.

ყურად იღე ჩვენი რჩე-
ვა და არ მოგიწევს ერთ-
მანეთში არეულ-დარეუ-
ლი საღურგლო ხელსაწ-
ყოების ძებნით თავის
შეწუხება. სახელოსნო-
ში თუ სამუშაო ადგი-
ლას, კედელზე გაკრულ
ხის დაფაზე რეზინის მი-
ლის გადანაჭერები მია-
ჭედე, ანასერი გაუკეთე
და შიგ ინსტრუმენტები
მოათავსე. საჭირო ხელ-
საწყო მუდამ თვალწინ



ამ საქმეში ექსპერიმენ-
ტი მეტად სახიფათოა.
ამიტომ, როცა სხვა სა-
შუალება არა გაქვს და
მავთულის ან ბაწრის ხე-
ლით გაწყვეტაა აუცილე-
ბელი, თუ გინდა ხელი
არ გაიფუტო, ბაწარი იქ-
ნება ეს, თუ მავთული,
ხელზე იმგვარად უნდა
დაიხვიო, როგორც აქ
არის ნაჩვენები და მერე
გაქაჩო.



ჩვენ ანკეტა

აი, დამთავრდა 1969 წელი.

შენ ხელთა გაქვს ჩვენი ჟურნალის წლებანდელი, უკანასკნელი ნომერი.

ბოლო ნომერთან ერთად, გთავაზობთ რამდენიმე კითხვისაგან შემდგარ ანკეტას. ვიმედოვნებთ, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ დაგეზარება.

ჩვენ გულდასმით გადავსინჯავთ ყველა პასუხს და გავითვალისწინებთ თქვენს სურვილებს, რათა მომავალ წელს „პიონერი“ უფრო მიმზიდველი, საინტერესო და შინაარსიანი იქნეს.

მაშ ასე, ერთხელ კიდევ გადაავლე თვალი 1969 წლის ნომრებს, გაიხსენე წაკითხული, წაიკითხე წაუკითხავი და გვიპასუხე შემდეგ კითხვებზე (სასურველია პასუხი გაეცეს ყველა კითხვას):

1. რომელი მოთხრობა უფრო მოგეწონა? _____

2. თქვენი, ჰიონერული ცსოფრების ამსასველი რომელი ნარკვევი უფრო მოგეწონა? _____

3. რომელი ლექსი უფრო მოგეწონა? _____

4. რომელი წერილი უფრო მოგეწონა? _____

5. რომელი გარეკანი უფრო მოგეწონა, რომელი მსატერის ნახატები? _____

6. რომელი განყოფილება უფრო მოგეწონს? _____

7. რის დაბეჭდვას ისურვებდი 1970 წლის „პიონერში“?

8. რა არ მოგეწონა 1969 წლის „პიონერში“? _____

9. რომელ კლასში სწავლობ? _____

ამოჯარი ეს ანკეტა, შავსა და გამოგვიგავნა რადაცდის მისამართით: თბილისი, ლინის ქ. № 14. „პიონერი“.



1969 წლის „პიონერში“ დაბეჭდილ მასალათა სტატისტიკა

პ რ ო ზ ა

- 6. ხოძა — წითელ მოედანზე. № 1.
- 7. იოსელიანი — ხომალდი—ხუანგი. № 1.
- „მინოგას“ დაღუპვა. № 10.
- 8. კობერიძე — ნაჩუქარი იაღონი. № 1.
- 9. სანადირაძე — სინაზე. № 2.
- 10. ბალი — წულქეშა გემის კაპიტანი. № 2.
- 11. ბაზარაშვილი — გულის ხმა. № 3.
- 12. ბუთხუცი — ქურთუკი. № 3.





- ლ. რადიუხივი — მოუსეი ნიჩაბი. № 4.
- შ. დავითაშვილი — მაყვალზე. № 4, 5.
- რ. ჩახანიძე — მსუქანი ფერნანდო. № 4.
- ხ. გიულნაზარინი — პატარა პიონერი. № 5.
- მ. ჯოჯინაძე — როგორ გააცურა ლენინმა უნდარმები. № 6.
- ბ. პაპუაშვილი — ჩვენს ბიძებს გაუმარჯოს. № 6.
- მ. შანი — ფარფუნეს განძეული. № 6.
- ვ. ჩაპურიშვილი — კარნახი. № 7.
- ბ. ფორსტალი — სან მარტინოელი ეშმაკუნები. № 7.
- ჯ. რომდარი — ჯოჯინის მოგზაურობა. № 7.
- ბ. მახარაძე — ბათო, ჩემი ბათო. № 8, 9.
- შ. პაპანაძე — როგორ ვითევსავე ლოქოზე. № 8.
- ო. თუშანიანი — ირემი. № 9.
- ვ. დიხინაძე — საათი. № 10.
- დ. გრიგოლაშვილი — ბორანზე. № 10, 11.
- კ. დალკა — ჩემი მასწავლებელი ლენინი. № 11.
- ვ. კუტილინა — წეროკინა. № 11, 12.
- ნ. ნაჩვოლოძე და დ. რაჭინაძე — ლენინის სიჭაბუქე. № 12.

- 3. ასლამაზაშვილი — ქალღმერთის ყვავილები. № 12.
- კ ო მ უ ნ ი ა**
- ბ. პაპანიძე — სახალწლო. № 1.
ჩვენი ჭიკჭიკა ჩიტი. იცოცხლე, პაპავ, იცოცხლე! № 5, მეც ბებოს ვუთხარ — ლენინი ვნახე. № 9.
 - 6. კილასონია — თებერვალს გაუმარჯოს. № 2.
 - ლ. სულაბერიძე — ბალადა სამოსანი ბიჭისა. № 2.
 - ე. სხვამაძე — ახალი ლექსები. № 3.
 - მ. ჩხტიანი — გაჯაფხულდა. № 3.
დილა ბანაკში. № 8.
მეც ფრთებს გავშლი. № 12.
 - ბ. მამურიშვილი — ახალი ლექსები. № 4, 9.
 - ს. შამშიანი — ამ უღამაზეც დღეს. № 5.
 - ბ. მალიკაძე — არ უღალატებს მეჭოვის შვილი. № 6.
 - ი. შამანსური — ქლიავის ხე. № 7.
 - ე. ჭურჭინი — აკაკი — სტუმრად სოფელში № 7.
 - ს. სანიშვილი — გულისხმა ჩემი. № 8.
 - 3. როშაძე — დიდება ლენინს. № 8.
 - ბ. გუგუნი — ილიჩი. № 8.

- ს. ალბარაძე — შენი ბელი და შენი იღბალი. № 8.
- დ. ივარდავა — ახალი ლექსები. № 8.
- ო. შალაშვილი — დროა ეძიოთ სიკეთის წყარო. № 9.
- ჯ. შელია — მზის საგალობელი; მე ლერწამი ვარ; რად დამებედა. № 9.
- მ. ლეონიძე — ახალი ლექსები. № 10.

**მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ბ ი ს
ს ა მ შ ა რ ო შ ი**

- ე. ბუხრაშვილი — ჩაცმულობის ისტორია № 1.
ქართული ეროვნული ტანსაცმელი. № 2.
- 6. შტრამლი — მხატვრული მინა. № 3.
ქართული მხატვრული მინის ისტორია. № 4.
- თ. კვიციანი — არქიტექტურა გაქვავებული მუსიკა. № 5.
- თ. ჩიჩუა — ძველი ეგვიპტის არქიტექტურა. № 6.
ძველი რომის არქიტექტურა. № 8.
- ი. ციციანი — ძველი საბერძნეთის არქიტექტურა. № 7.
- თ. სანიძე — აღორძინების ხანის ხუროთმოძღვრება. № 9.





ქანკანა 11

ქანკანა

- ი. ივიჩი — ატომური საუკუნის დასაწყისი. № 6.
- ბ. ციციძე — ბათუმის ბოტანიკური ბაღი. № 7.
- ბ. პრვალაძე — ქართველი ხალხის მეგობარი. № 9.
- რ. ელანიძე — სხვის ბუდეში № 7.
- გახლი ძლიერი და ამტანი № 7, 8.
- 3. ღრეშვილი — სტუმრად ბაზუნიებთან. № 10.
- ბ. პარკი — ფონტენელების ოჯახის ცხოვრების რამდენიმე დღის ქრონიკა. № 11.

6. ჯანაშიანი — ქართული ხუროთმოძღვრება. № 10, 11.

ზ ლ ა კ რ ა ზ ი, ი ბ ა ვ ე ბ ი, ა რ ა კ ე ბ ი

- ლ. მალაზონია — როგორ ასწავლა პატარა ბიჭმა ხელმწიფეს ქუა. № 1.
- ბ. ჩიტაიშვილი — სიტყვა თუ საქმე. № 2.
- კამოგოჯური არაპი. № 4.
- რ. კიკლინიძე — პატარა სპილო. № 8.
- ს. რუბინიანი, მ. სლუკოვი — ზღაპარი უირაფზე. № 12.

ლიტერატურა, მეცნიერება, ტექნიკა, სპორტი, მოგონებები, საუბარი.

- შ. ისაბაძე — ოთახის მცენარეთა მოვლა. № 1. აივნის და ფანჯრის გამწვანება. № 3. თაიგული და მისი შედეგა. № 4.
- რ. ნათაძე — რა არის სიზმარი. № 1.

ისტორიის ნამდვილი გმირები. № 1.

- თ. ბიორბაძე — შურისძიებაც ამას ჰქვია. № 2. ქადრაკი ულიანოვების ოჯახში. № 7. ლენინი და ქადრაკი. № 10.
- ბ. გობროვსკი — მრისხანე სტიქიონები. № 2.
- ბ. პარბელაშვილი — თბილისი — პეტერბურგი. № 2.
- ბ. გრეშვილი — ტყუილ-მართალი რიკი-ტიკიტავის შესახებ. № 2.
- ლ. შიშინაძე — ნინო ნაკაშიძე, გიორგი ქუჩიშვილი. № 2. იოსებ გრიშაშვილი. № 4. ილია სიხარულიძე. № 10.
- ი. რეინი — ენომოგზაურობა დედამიწის გარშემო. № 3, 4.
- თ. ცხველიანი — როგორ მოვაწყოთ ლენინის მუზეუმი. № 4.

გ ა ნ ე ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი

- იცნობ თუ არა უნან მშობლიურ მხარეს. № 1, 3, 6, 9, 12.
- ახლა რომ თოთხეები წლისა ვიყო № 5, 9, 11.
- ბუნების კარი № 1, 2, 3, 4, 7, 8, 9, 11.
- ცხრაპლიტული № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
- გამოგადგები № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
- ჯადოსნური სარკე № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
- მოსწავლეთა შემოქმედება № 1, 3, 6, 12.
- ახალი წიგნები № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
- იუმორი № 1, 5, 8, 9, 10, 11.
- ჩვენი წარსულიდან № 2, 6, 10.

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — ოთარ ჩხარტიშვილისა.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბაღია, ნოდარ გუგუშვილი, ჯუანხორ კვარაცხელია, სეაგო კლიაშვილი, გურამ ლეგანიძე, ჯუანხორ ლეგანიძე (პ/მ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-97-05 93-31-81 პ/მ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების — 93-97-02 93-97-01

საქ. კ. ცხ.-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცემა სასაწყობოდ 18/X-69 წ. ხელმოწერილია დისაბეჭდოდ 13/XI-69 წ. ქალაქის ფორმატი 60x90/8. ფიზიკური საბეჭდო ფურცელი 4. პირობითი 4. შეფ. № 3143 ტირ. 101 700. უფ. 00967.

ფასი 20 კაპიკე

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

სანაოსნო ეკაპე

ტალღებზე მონაპარდი

არავინ უწყის დანამდვილებით, სად და როდის გამოიგონეს ნავი. სხვადასხვა ქვეყანაში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, არსებული სამშენებლო მასალითა და შრომის იარაღებით, ხალხმა შექმნა ნავის მრავალგვარი სახეობა: ერთნი იოლად უძღვებოდნენ შორეულ საზღვაო მოგზაურობას, მეორენი მსუბუქად დაჰქროდნენ ქალაქის ქუჩა-არხებში, მესამენი ღალად დანაჯარობდნენ მდინარეთა ჩანჩქერებზე, მეოთხენი ძალზე დიდ ტვირთს ეზიდებოდნენ...



ადამიანმა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ისწავლა მორების ტივად შეკვრა. ზოგიერთი სახის ტივი ნავის პირველსახეობა იყო.



ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ნავის ტიპი — პირაგუაა. იგი ძირითადად აფრიკის ხალხებში, ინდონეზიაში და ოკეანეთის კუნძულებზე არის გავრცელებული. პირაგუა გამომწვარი ან გამოღრუტული მორია. მაგრამ არ იფიქროთ, იგი იოლი გასაქეთებელი იყოს. ჯერ გულდადებით უნდა შერჩეულიყო ხე. მერე ორისამი წლის მანძილზე უნდა გამოეშროთ და ბოლოს, ათობით ხელოსანი თევების მანძილზე უნდა ებოდა ხოლმე მის სანაოსნოდ გამართვას.




ვარკამოეს — ცვილონელთა ნავის აგება ვაცილებით იოლია, ვიდრე პირაგუასი. მას მხოლოდ ფსკერი აქვს მთლიანი სისა, გვერდები კი ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული მომსხო ჩხირებითა ამოყვანილი.



სამხრეთ ამერიკის დასავლეთი სანაპიროების მცხოვრებნი, ნავს ერთმანეთზე მჭიდროდ მიკ-

რულ, გამომხმარი წყალმცენარეების მსხვილი გვარლებისაგან აგებდნენ. ნავს თავ-ბოლო წამოწეული და შევიწროებული ჰქონდა. ასეთ ნავს ბალსას უწოდებდნენ (ესპანურად — „ტივი“).



კატამარანიც პირაგუას უახლოესი ნათესავია. ოკეანეთის კუნძულების მკვიდრთ იგი შორეული მოგზაურობისათვის შეუქმნიათ. ნავის ძირითადი ნაწილისათვის პარალელური საყრდენის მსგავსი მოწყობილობა გაუკეთებიათ. იგი ნავს საშუალებას აძლევს გაუძლოს კარგა მაგარ ღელვას.



კი-იომო — ვიეტნამელთა ნავიც — პირაგუას ნათესავია. შუა ნავში ტვირთისათვის საგანგებოდ არის დატოვებული ამადლებული ადგილი. მძიმე ტვირთით დატვირთული

კი-იომოს ხშირად წყალში ღრმობით მხოლოდ წვეთები და ტვირთი რჩება, მაგრამ იგი მაინც კარგად ცურავს (ცხადია, შეტობრებულ მდინარეში).



ბევრს გაგიგონიათ ალბათ ჩინური ჯონკა, რომელიც შეუდარებელია თავთხელ მდინარეებში სანაოსნოდ, მაგრამ ალბათ იშვიათად თუ იცის ვინმემ, რომ მას საფუძვლად ტივი უდევს. ოღონდ, გვერდები აქვს ამოყვანილი და ცხვირი წამოწეული. ჯონკა სხვა პირაგუების მსგავსად თევზს კი არა ჰგავს, არამედ უფრო იხვს მიაგავს. ნიჩბებიც იხვის ფეხების მსგავსად აქვს მოწყობილი.



პირაგუას ბევრი ახლო ნათესავი ჰყავს. ერთერთი მათგანი დნეპრის წყლებში გამოცდილი „ძველი სლავური მუხაა“. სახელწოდებითაც ჩანს, რომ იგი მუხისაგან იყო გამოთლილი. ამ ნავებით ზაპოროჟიელი კაზაკები შავ ზღვასაც კი გადასერავდნენ ხოლმე.



კ ს ს უ ს ი
№ 11-ში
მოთავესებულ
„მხრა-
კლივულე“

ჰორიზონტალურად:
1. ავსტრია; 5. არტეკი;
6. იაღონი; 11. რაინი; 13. ატამი; 14. ამუდარია; 15. რუმინეთი; 19. ანგარა; 21. „მერანი“.
ვერტიკალურად: 2.

ვანი; 3. ტიანშანი; 4. იორი; 7. „ორერა“; 8. ანაზა; 9. ავსტრალია; 10. ჩიტბატონა; 11. რკინა; 12. ირანი; 16. ათენი; 17. რიონი; 18. ავღანეთი; 20. ადლი; 21. „მერი“; 22. სიცილია.




ტანკი.

რომან ფუტურიძე.
წყალტუბოს რაიონი, სოფ. მუხიანი.



წვიმის უამრავი.

თ. ჩხარტიანი
ქ. მახარაძის მე-3 საშუალო
სკოლის VIII კლასის მოსწ.



სოფლის წიხვილი.

ჭურბაძე მანუარია.
თბილისის მე-7 საშუალო სკო.



მთვარეანი ღამე.

გიორგი რუსაძე
თბილისის 55-ე საშუალო სკო.